F567 N3288

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოჯლოს ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-10 წელი

№ 16-17 (154)

სექტემბერი, 1966 წელი



მწერალთა ფორუმზე

სსრ კავშირისა და საქართველოს მწერალთა კავშირების გამგეობათა გაერთიანებული პლენუმი

26 სექტემბერს, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის მწერალთა ორგანიზაციების თვალსაჩინო წარმომადგენლები, უცხოელი ლიტერატორები და ხელოვნების მოღვაწენი. აქ გაიმართა სსრ კავშირისა და საქართველოს მწერალთა კავშირების გამგეობათა გაერთიანებული პლენუმი, რომელიც მიეძღვნა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს.

პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, პ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, რ. ი. ფრუნძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, ო. ი. ლოლაშვილი, თვალსაჩინო საბჭოთა მწერლები, რესპუბლიკის შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენლები.

შესავალი სიტყვით პლენუმი გახსნა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მდივანმა გ. მარკოვმა.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვ. პ. მჟავანაძეს.

მოხსენება — „შოთა რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში“ წაიკითხა სრულიად საკავშირო საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ნ. ს. ტიხონოვმა.


მოხსენება „შოთა რუსთაველი და თანამედროვე ქართული ლიტერატურა“, პლენუმზე გააკეთა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა ბ. ჟღენტმა.

პლენუმზე სიტყვებით გამოვიდნენ ცნობილი საბჭოთა და საზღვარგარეთელი მწერლები, კრიტიკოსები — მ. ალექსეევი (მოსკოვი), ო. გონჩარი (უკრაინა), პ. ბროვკა, (ბელორუსია), ს. მუშანოვი (ყაზახეთი), მ. იბრაგიმოვი (აზერბაიჯანი), მ. მეფელაიტისი (ლიტვა), ვ. ზახაროვი (უზბეკეთი), ს. კაპუტიკიანი (სომხეთი), ა. ლუბანი (მოლდავეთი), პ. კრაულინი (ლატვია), მ. მირშაკარი (ტაჯიკეთი), პ. მალიკოვი (ყირგიზეთი), ბ. სეიტაკოვი (თურქმენეთი), პ. ხუზანგაისი (ჩუვაშეთი), ბ. შინაუბა (აფხაზეთი), რ. გამზატოვი (დაღესტანი), ნ. აბაკინი (მოსკოვი, გაზეთი „პრავდა“), ყ. ყულიევი (ბალყარეთი), ა. ტიმონენი (კარელია-ფინეთი).

თავის სიტყვებში მაღალი შეფასება მისცეს შოთა რუსთაველის მემკვიდრეობას ბულგარელმა პოეტმა ე. ბაბრინოვმა, ინგლისელმა რომანისტმა ჯ. ოლდრიჯმა, ინდოელმა პოეტმა ა. პრიტანმა, ალჟირელმა მწერალმა ი. კატებმა, ჩილიელმა მწერალმა ფ. პოლონმა, ავსტრალიელმა პოეტმა დ. დატონმა, „ვეფხისტყაოსნის“ პოლონურად მთარგმნელმა ე. ზაბრისკიმ, პოემის უნგრულ ენაზე მთარგმნელმა შ. ვირეშმა.

29 სექტემბერს თბილისში გაიმართა ინტერნაციონალური პოეზიის დიდი საღამო, სადაც ლექსები წაიკითხეს იუბილეზე სტუმრად ჩამოსულმა პოეტებმა მსოფლიოს ხუთივე კონტინენტიდან.

27, 29 სექტემბერსა და 1 ოქტომბერს თბილისში და ბორჯომში მოეწყო „მრგვალი-მაგიდის“ შეხვედრა-საუბრები, რომლებშიც მონაწილეობდნენ მსოფლიოს 25 ქვეყნის მწერლები.



სურათზე: თბილისი, საიუბილეო სხდომა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

მარად უკვდავი

დიდი საიუბილეო-საზეიმო სხდომა

უველა მოძმე მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლები, უცხოეთის 45 ქვეყნის თვალსაჩინო ლიტერატორები და კულტურის მოღვაწენი შეიკრიბნენ 30 სექტემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, სადაც გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, პ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, რ. ი. ფრუნძე, გ. ს. ძოწენიძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, ო. ი. ლოლაშვილი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ვ. შ. შაურო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ე. ა. შურცევა, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, შოთა რუსთაველის 800 წლისთავის იუბილეს მომწყობი სრულიად საკავშირო საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ს. ტიხონოვი და სხვ.

შესავალი სიტყვით სხდომა გახსნა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის იუბილეს მომწყობი მთავრობის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. დ. ჯავახიშვილმა.

მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარეს, პოეტ-აკადემიკოს ირ. აბაშიძეს (მოხსენება იბეჭდება გაზეთ „სამშობლოს ხმის“ ამავე ნომერში).

საზეიმო სხდომის მონაწილეებს გულთბილად მიესალმნენ სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ე. ა. შურცევა, უველა მოძმე-მოკავშირე რესპუბლიკის წარმომდგენლები.

საიუბილეო სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს საზღვარგარეთელმა სტუმრებმა — ცნობილმა მწერლებმა, მეცნიერებმა და კულტურის მოღვაწეებმა რ. ალბერტიმ (ესპანეთი), ა. ზეგერსმა (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), სუნიტი კუმარ ჩატერჯიმ (ინდოეთი), ემრის ჰიუზმა (ინგლისი), მ. ბრრმა (იუგოსლავია), ი. სკალამ (ჩეხოსლოვაკია), კ. ლევიმ (იტალია), ტე ლან ვიენმა (ვიეტნამი).

ზეიმის მონაწილეებს ქართულ ენაზე მიესალმნენ ბელგიელი მეცნიერი, ლუვენის უნივერსიტეტის პროფესორი ჟ. გარიტი, ინგლისელი ქართველოლოგი დ. ლანგი, ფრანგი მეცნიერი რ. ლაფონი.

სიგრძნის წყარო

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების სესია

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში 28 სექტემბერს შეიკრიბნენ საქართველოს, მოსკოვის, ლენინგრადის, ყაზახეთის, უზბეკეთის, თურქმენეთის, ლიტვის, ლატვიის, აზერბაიჯანის, სომხეთის, საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების თვალსაჩინო მეცნიერები, საზღვარგარეთელი მეცნიერები — ლიტერატორები და ქართველოლოგები. აქ გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების სესია, რომელიც შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს მიეძღვნა.

სესიის პრეზიდიუმში არიან მთავრობის რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. დ. ჯავახიშვილი,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **დ. გ. სტურუა,** ჩვენი ქვეყნის ოვალსაჩინო მეცნიერები, ლიტერატორები, საზღვარგარეთელი სტუმრები.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა **ნ. ი. მუსხელიშვილმა.**

მისალმებისათვის სიტყვა ეძლევა მთავრობის რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარეს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს **გ. დ. ჯავახიშვილს.**

მოხსენება — „შოთა რუსთაველის შემოქმედება“—გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **ა. ბარამიძემ.**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **გ. წერეთელმა** წაიკითხა მოხსენება „ვეფხისტყაოსნის მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის გამოცემის გამო“.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **გ. ჩუბინაშვილმა** თავისი მოხსენება მიუძღვნა თემას „რუსთაველის ეპოქის ქართული ხელოვნების ძეგლები“.

სიტყვას ამბობს მწერალი-აკადემიკოსი, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი **კ. გამსახურდია.**

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **ნ. კონრადმა** თავის გამოსვლაში დაახასიათა ადრეული ქართული რენესანსის ეპოქა. მეცნიერმა აღნიშნა, რომ ბევრად ადრე, ვიდრე დასავლეთის აღორძინების ეპოქის მოაზროვნეებმა, რუსთაველმა გამოხატა ის ძირითადი იდეური მისწრაფებანი, რომლებიც მიეკუთვნება ევროპული რენესანსის დამახასიათებელ ნიშნებს.

ლენინგრადის მეცნიერთა სახელით სესიის მონაწილეებს მიესალმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ვ. ჟირმუნსკი.**

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მისასალმებელი ადრესი წაიკითხა ამ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა **ლ. შტერნმა.**

ტრიბუნაზეა ბუდაპეშტის უნივერსიტეტის პროფესორი **კ. ცეგლედი.** მის გამოსვლას ქართულ ენაზე თარგმნიდა მარტონ იშტვანოვიჩი — უნგრელი, რომელმაც თბილისში დაამთავრა ასპირანტურა და ქართული ენის ჩინებული მცოდნეა.

ქართველი ხალხის ეროვნული დღესასწაული სესიის მონაწილეებს გულითადად მიულოცა კუბის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ლინგვისტიკის ინსტიტუტის დირექტორმა **ხოსე ანტონიო პორტუონდომ.**

ჭალაქ ოსლოს უნივერსიტეტის დავალებით, — თქვა წმინდა ქართულ ენაზე ოსლოს უნივერსიტეტის რექტორმა **ჰ. ფოქტმა.** — ნება მიბოძეთ თქვენ, სესიის მონაწილეებს და ქართველ ხალხს მხურვალედ მოგესალმოთ და მოგილოცოთ ნორვეგიელი ხალხის სახელით.

სესიაზე გამოვიდა პოლონელი ქართველოლოგი **იან ბრაუნი.** ისიც ქართულად მიესალმა სესიის მონაწილეებს.

ᲮᲐᲛᲡ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘ...

შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის ზეიმში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს 32 ქვეყნიდან ჩამოსულმა მწერლებმა, მეცნიერებმა და საზოგადო მოღვაწეებმა.

მათ შორის იყვნენ მწერლები ინგლისიდან — **ჯეიმს ოლდრიჯი, ემრის ჰიუზი, გევინ კროსბი ჰოლანდი,** პროფესორები **ჰაროლდ ბეილი, დ. მ. ლანგი.** ავსტრიიდან იუბილეზე ჩამოვიდა ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების ლიტერატურული სექციის თავმჯდომარე პოეტი **ჰუგო ჰუპერტი.** უცხოელ სტუმრებს შორის იყვნენ ავსტრალიელი პოეტი **ჯეფრი დატონი,** ალჟირელი პროზაიკოსი, პოეტი და დრამატურგი **ჭათებ იასინი,** ქართული ენის პროფესორები ჰოლანდიიდან **ა. კოიპერსი** და **კარლ ებელინგი,** დანიელი მწერალი **იორგენ ვიბე,** კანადელი პოეტი **ჯო უოლესი,** კუბის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი **ხოსე ანტონიო პორტუონდო.**

ბულგარეთიდან ჩამოვიდნენ **ელისავეტა ბაგრიანა, ცვეტან ანგელოვი, დორა გაბე.** უნგრეთიდან — **ტიბორ დერი, დიულა იეში, იშტვან შიმონი, ლასლო ბენიამინი, შანდორ ჩოორი, შანდორ ვერეში, მარტონ იშტვანოვიჩი, კაროი ცეგლედი, ანტალ გიდაში, აგნესა კუნი.**

ანა ზეგერსი და **ალფრედ კურელა** გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები იყვნენ, **ტე ლან ვიენი** — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა, **დამდინსურენი** — მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა.

თბილისში ჩამოვიდნენ აგრეთვე მწერლები და მეცნიერები **ამრიტა პრიტანი** და **სუნიტი კუმარ ჩატერჯი** ინდოეთიდან, **მიხეილ ნუაიმე** ლიბანიდან, **ჰანს ფოჩტი** ნორვეგიიდან, **აბდელ აზიზ მალაკი** არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკიდან, **ფილიპე ბონოსკი, ლი გოლდი** და **თამარ ჰოვი** ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ესპანელი მწერლები **რაფაელ ალბერტი, მარია ტერესა ლეონი, ხუან გოიტისოლო.**

იტალიელ მწერალთა დელეგაციაში შედიოდნენ **კარლო ლევი, ელიო პალიერანი, ლეონ პაჩინი-სავოი, ლეონე პიჩიონი, ედუარდო სანგვინეტი.** საფრანგეთის დელეგაციაში — **ელენ გიევიკი, ივ განდონი, პიერ გამარა, მადლენ ბრონი, არმან ლანუ, მაქს პოლ ფუშე,** აგრეთვე ასოციაცია „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ გენერალური მდივანი **რაიმონ რუსი** და ამ ასოციაციის ერთ-ერთი პრეზიდენტი **ლე ამონი.**

პოლონეთიდან საქართველოში ჩამოვიდნენ **ლეოპოლდ ლევინი, ვაცლავ კუბაცკი, ეჟი ზაგურსკი, ვაცლავა შიმბორსკა, იგორ სიკირიცკი, იულიან პშიბოსი, იანინა ძიარნოვსკაია;** რუმინეთიდან — **ვიქტორ კერნბახი;** ჩეხოსლოვაკიიდან— **ივან სკალა, ვოიტეხ მიგალიკი,** ვერა მიგალიკოვა, **ირუი ტაუფერი, ვაცლავ ჩერნი;** იუგოსლავიიდან — **მატეი ბორი, ოსკარ დავიჩო** და **დრაგუტინ ტადიანოვიჩი.**

შოთა რუსთაველის იუბილეში მონაწილეობდნენ აგრეთვე: დელეგაცია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან **ჰანს მაგნუს ენცენსბერგერის, იულიუს ასფალგის, კარლ ჰორსტ შმიდტის** შემადგენლობით; ცეილონელი მწერალი **მერვინ დე სილვა,** ჩილეელი მწერალი **ფრანსისკო კოლოანე,** შვეიცარიელი მწერალი **პიერო ბიანკონი,** იაპონელი მწერლები **ი-პეი ფუკურო** და **სეიიტი ვაკური.**

* * *

სურათზე: მარცხნიდან — „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულად მთარგმნელი ს. წულაძე, არმან ლანუ, მისი მეუღლე ეკ. ტოლსტაია, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარე არ. გიგოშვილი და მაქს პოლ ფუშე.

ს ა დ ი დ ე ბ ე ლ ი

დიდხანს ემზადებოდა თბილისის მუსიკალური და თეატრალური საზოგადოებრიობა ღირსეულად აღენიშნა ჩვენი სასიქადულო მგოსნის შოთა რუსთაველის იუბილე. 30 სექტემბერს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა საიუბილეო კონცერტი.

პოეტის სადიდებელი იყო ორატორია „ვეფხისტყაოსანი“ პროლოგი, რომელიც შოთა რუსთაველის იუბილესათვის დაწერა კომპოზიტორმა არჩილ ჩიქაძემ. ორატორია შეასრულა გაერთიანებულმა გუხდმა და საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა. ტექსტი დიდი შოთაგონებით წაიკითხა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა სერგო ზაქარიაძემ.

შესრულებულ იქნა არიები და ნაწყვეტები დ. არაყიშვილის, ზ. ფალიაშვილის ოპერებიდან, ქართული ცეკვები, ხალხური სიმღერები და ვარიაციები ქართული ბალეტებიდან.

სპეციალურად რუსთაველის იუბილესათვის საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებულმა ანსამბლმა სსრ კავშირის სახალხო არტისტების ნ. რაძიშვილისა და ი. სუხიშვილის ხელმძღვანელობით მოამზადა ქორეოგრაფიული სურათი „ქაჯეთის ციხის აღება“. კომპოზიტორებმა ოთარ თაქთაქიშვილმა, რ. ლაღიძემ იუბილეს უძღვნეს „ოდა რუსთაველს“ და „ოდა მესხეთს“. ქართული სცენის შესანიშნავმა ოსტატმა ვერიკო ანჯაფარიძემ ჩვეული ოსტატობით წაიკითხა „წიგნი დარეჯანისა საყვარელთანა მიწერილი“.

ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვახტანგ ჭაბუკიანმა და საბალეტო დასმა შესანიშნავად შეასრულა „მავრიტანული ცეკვა“ ა. მაჭავარიანის ბალეტ „ოტელოდან“.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის სახალხო არტისტებმა პეტრე ამირანაშვილმა, ვასო გოძიაშვილმა, მარგარიტა ლორგისა და ჟაკ ტიბოს სახელობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატმა ლიანა ისაკაძემ, ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატმა ელისო ვირსალაძემ, საქართველოს სსრ სახალხო არტისტებმა ზურაბ კიკალეიშვილმა, თენგიზ მუშკუდიანმა და სხვ.

კონცერტში მონაწილეობდნენ საკავშირო რადიოს დიდი გუნდი რუსეთის სფსრ სახალხო არტისტის ბ. პტიცას ხელმძღვანელობით, საქართველოს სსრ სახელმწიფო კაპელა და სხვ...

* * *

1 ოქტომბერს თბილისის სპორტის სასახლეში შეიკრიბნენ დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, საიუბილეო ზეიმზე საზღვარგარეთიდან და მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრები. აქ გაიმართა თეატრალური წარმოდგენა „ოდა რუსთაველს“.

ხალხური სიმღერის „ლილეთის“ შესრულით და ზარების წკრიალში სრულდება პროლოგი — ნაწყვეტი პოემიდან „ვეფხისტყაოსანი“.

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულმა ანსამბლმა წარმოადგინა ქართული ცეკვა „ქორწილი“.

რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა გურამ საღარაძემ შთამაგონებლად წაიკითხა ნაწყვეტი პოემიდან „ავთანდილის ანდერძი“. დიდი წარმატება ხვდა ყველაზე ნორჩ მსახიობს ირმა სოხაძეს. მან შეასრულა ლილი იაშვილის სიმღერა „ია, ია“. სიმღერის ფონზე თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის გოგონებმა შეასრულეს იების ცეკვა.

დარბაზში სინათლე ჩაქრა. სრულდება სცენა გ. კილაძის ბალეტ „სინათლიდან“. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტებმა ზ. კიკალეიშვილმა და გ. მონავარდისაშვილმა ოსტატურად გადმოსცეს ბოროტზე კეთილის გამარჯვება.

ინთება ჩირაღდნები. გუნდი სსრულებს კომპოზიტორების რ. ლაღიძისა და ი. ბობოხიძის „სიმღერას სამშობლოზე“.

კვლავ და კვლავ გაისმის „ვეფხისტყაოსნის“ უკვდავი სტრიქონები. მათ კითხულობენ პოეტის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობები, გაერთიანებული გუნდი, რომელიც ორი ათასი კაცისაგან შედგება, ადიდებს ქართველი ხალხის სიამაყეს შოთა რუსთაველს.

* * *

დიდი სპორტული დღესასწაულით აღნიშნეს საქართველოს სპორტსმენებმა რუსთაველის იუბილე. დღესასწაული თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა. ეს იყო იუბილეს ათოთეზი.

ფანფარებმა შეკრებილთ აუწყეს დღესასწაულის დაწყება. სტადიონის სარბენ ბილიკზე გამოდიან ქართული სპორტის ვეტერანები, ისინი, ვინც საქართველოს სახელი გაუთქვა მრავალ საერთაშორისო და სრულიად საკავშირო ასპარეზობაში. სტადიონი ყვავილნარად გადაიქცა. ესენი არიან საქართველოს დედაქალაქის საშუალო სკოლების მოსწავლენი. ექვსმა ათასმა მოსწავლემ შეასრულა გარჯაში „მით ვისწავლებით“.

სპორტული ზეიმი დაგვირგვინდა ფიეერვერკით. ტრიბუნების თავზე აღიმართა შოთა რუსთაველის დიდი პორტრეტი, რომელიც გაჩირაღდნებული იყო ათასფრად მოკაშკაშე სინათლით.



მ ე ს ხ ე თ ი ს გ უ ლ შ ი

ხალხური გადმოცემების მიხედვით შოთა რუსთაველის მშობლიურ კუთხედ ითვლება მესხეთი, კერძოდ ახლანდელი ასპინძის რაიონის სოფელი რუსთავი. ამიტომ, გასაგებია, საიუბილეო დღეებში დიდი ზეიმი იყო მესხეთში და განსაკუთრებით მის გულში — ქალაქ ახალციხეში.

იუბილეზე ჩამოსული სტუმრები ახალციხეს ესტუმრნენ 28 სექტემბერს. ამ დღეს აქ, ქალაქის მთავარ მოედანზე საზეიმოდ გაიხსნა დიდი პოეტის ძეგლი. სახელდახელო მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ ცნობილი საბჭოთა მწერალი ბორის პოლევოი, აგრეთვე საზღვარგარეთელი მწერლები, მეცნიერები — კარლო ლევი (იტალია), ივ გარდონი (საფრანგეთი), დევიდ ლანგი (ინგლისი), ტე ლან ვიენი (ვიეტნამი), რაფაელ ალბერტი (ესპანეთი), ალფრედ კურელა (გერმანია), ტიბორ დიერდი (უნგრეთი), სუნიტი კუმარ ჩატერჯი (ინდოეთი), დორა გაბე (ბულგარეთი) და სხვები.

ძეგლის ავტორია გიორგი თოიძე, კონსტრუქტორები — სოლომონ რევიშვილი და მირიან ბახტაძე.

სურათზე: რუსთაველის ძეგლი ახალციხეში.



ლაპარაკობენ რუსთაველის სტუმრები



არმან ლანუ,
ფრანგი მწერალი, „საფრანგეთ-სსრკ საზოგადოების ერთ-ერთი პრეზიდენტი

პირველი, რაც უნდა აღვნიშნო, ეს არის ქართველების განსაკუთრებული ხასიათი. ეს იგრძნობა მათი პირველივე გაცნობით. საქართველოს ლამაზი ბუნება, რბილი ჰავა თავისებურ ხასიათს უქმნის ადამიანებს, რაც გამოსჭვივის მათს ჩაცმაში, გემოვნებაში. ვეცნობი რა თქვენს ქვეყანას, თქვენს ხალხს, კულტურას, აღარ მიკვირს, რომ ასეთმა ქვეყანამ მისცა მსოფლიოს ბუმბერაზი მოაზროვნე პოეტი შოთა რუსთაველი.

ჩვენ „ვეფხისტყაოსანს“ ვიცნობთ სერგი წულაძის თარგმანით. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს არის შესანიშნავად შესრულებული თარგმანი, სხვანაირად ის ვერ მიიღებდა ისეთ მაღალ ჯილდოს, როგორიც ლანგლუას პრემიაა.

უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ბოლო წლებში დიდად გაიზარდა ჩვენი, საფრანგეთ-სსრ კავშირის საზოგადოების წევრების, რიცხვი. მას მრავალი პარტიის წარმომადგენელი შემოუერთდა. ეს საშუალებას მოგვცემს უფრო განვავითაროთ, განვამტკიცოთ მეგობრული კავშირი საბჭოთა ქვეყანასთან.

საქართველოში ჩემს მეუღლესთან ერთად პირველად ვარ. დიდად მოხარული ვარ, რომ მონაწილეობას ვიღებ ქართველი პოეტის ასეთ დიდ საერთაშორისო იუბილეში. სანახავი ბევრი გვაქვს, შთაბეჭდილება დიდი.

ვიქტორ კერნბახი,
რუმინელი პოეტი

მოხარული ვარ, რომ კვლავ მომეცა საშუალება ჩამოვსულიყავი საქართველოში, მენახა თქვენი ქვეყნის ოქროს შემოდგომა, მზითა და ბარაქით სავსე. წლევანდელი შემოდგომა ხომ განსაკუთრებულია, საქართველოს ხალხთან ერთად დიდი შოთა რუსთაველის იუბილეს მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობა აღნიშნავს.

შოთა რუსთაველი ჩემთვის განსაკუთრებით ახლობელია. **1956** წელს გამოვიდა ჩემ მიერ განხორციელებული „ვეფხისტყაოსნის“ პირველი თარგმანი. რუმინელმა მკითხველებმა დიდი სიყვარულით წაიკითხეს სიბრძნის ეს დაუშრეტელი წყარო. ძნელია ადამიანმა ერთხელ იმუშაოს ამ დიდ ქმნილებაზე და თავისი ნამუშევარი სრულყოფილად ჩათვალოს. ამიტომ მე კვლავ განვაგრძობდი პოემაზე მუშაობას. **1963** წელს მეორედ გამოვიდა „ვეფხისტყაოსანი“.

გადავწყვიტე გამეგრძელებინა ქართული ლიტერატურის თარგმნა. გამეცნო ჩემ თანამემამულეთათვის ქართული პოეზიის და პროზის შესანიშნავი ნიმუშები მათი ძირითადი ეტაპების მიხედვით. ვთარგმნე ქართული ხალხური ზღაპრები, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები, ბესიკის რამდენიმე ლექსი, კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, გ. ლეონიძის ლექსები. დავწერე წიგნი საქართველოში მოგზაურობის შესახებ.

სულ მალე რუმინელი მკითხველები მიიღებენ ანთოლოგიას, სადაც გამოქვეყნდება გრ. აბაშიძის ლექსები.

შოთა რუსთაველის იუბილე ჩვენშიც დიდი ზეიმით აღინიშნა, მოეწყო გამოფენები ქართული კულტურისა და საერთოდ საქართველოს შესახებ, იკითხებოდა ლექციები შოთა რუსთაველის პოემაზე. კერძოდ, მე მომიხდა ლექსების წაკითხვა რამდენიმე დიდ დაწესებულებაში, გამოვედი რადიოთი და ტელევიზიით.

პიერ გამარა,
ფრანგი მწერალი

დიდად მოხარული ვარ, რომ უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ გენიალურმა ავტორმა ასე დამაახლოვა საქართველოსთან, მის გამრჯე და სტუმართმოყვარე ხალხთან, რომელიც ესოდენ სათუთად ინახავს თავისი დიდი წინაპრის სახელს.

საქართველოში თავს ისე ვგრძნობ, თითქოს შინ ვიყო. ეს იმიტომ, რომ მე სამხრეთ საფრანგეთიდან ვარ, ჭადრების, ვენახებისა და მზის ქვეყნიდან, რომელიც ძალიან ჰგავს თქვენსას. კიდევ იმიტომ, რომ რუსთაველის საგალობელში ჩემი სამშობლოს სამხრეთული ტრადიციები დავინახე, ჩემთვის ახლობელი სუნთქვა ვიგრძენი.

მე შინ ვგრძნობ თავს იმიტომ, რომ რუსთაველის ღრმა ჰუმანისტური ხელოვნება მარტო ქართველების როდია, იგი მსოფლიოს ყველა ხალხებს ეკუთვნის.

ქართველ ხალხს მადლობას ვუხდი ჩემი ჰადრების, ჩემი ვენახების, ჩემი დებისა და ძმების სახელით. ჩვენ ერთად უნდა ვიბრძოლოთ, ვიშრომოთ, რათა რუსთაველის შუქი მუდამ ანათებდეს მშვიდობისმოყვარე კაცობრიობას.

კონსტანტინე სიმონოვი,
რუსი მწერალი

რუსთაველი მთელი სამყაროა, მისი პოემა მთელი სამყაროა, რომელიც მოიცავს მთელ იმ დროს, მთელ იმ ეპოქას. როგორც შეუძლებელია მოსწყვიტო იგი იმ ეპოქას, ისევე შეუძლებელია იმდროინდელი საქართველო ურუსთაველოდ წარმოიდგინო. ეს ძალიან ეროვნული ძეგლია, მაგრამ იმავე დროს, როგორც ეროვნული ხელოვნების ყოველი დიადი ნაწარმოები, რომელსაც დროის ბეჭედი და ხალხის ბეჭედი აზის, იგი ინტერნაციონალურიც არის. იგი ყღერს საუკუნეებში, იგი იგრძნობა როგორც მთელი კაცობრიობის კუთვნილება. და სხვა გზა სიდიადისაკენ, ვიდრე საკუთარი ხალხის გულზე გამავალი გზა, სხვა გზა მსოფლიო სიდიადისაკენ, როგორც ჩანს, არ არის და მისი გამოგონება შეუძლებელია.

ვფიქრობ, თვითეული, ვისაც წაუკითხავს ეს შესანიშნავი პოემა, დაინტერესებულია იმით, რომ ყველაფერი, რაც მის ხსოვნასთან არის დაკავშირებული, ურღვევად იქნას დაცული. ეს შეესაბამება არა მარტო მისი პირდაპირი მემკვიდრეების — საქართველოსა და ქართველი ხალხის ინტერესებს, არამედ ყველა იმ ადამიანის ინტერესებსაც, ვისაც ახლა პოეზია უყვარს და ესმის.

ჰანს ფოქტი,
ოსლოს უნივერსიტეტის რექტორი

მიხარია რომ ჩემი სანუკვარი ოცნება — კვლავ მენახულა ჩემთვის ძვირფასი საქართველო — რუსთაველის საიუბილეო დღეებში ამიხდა. საქართველოში პირველად ოცდათორმეტი წლის წინათ ვიყავი და ქართული ენის შესწავლის მიზნით **14** თვე დავყავი. მაშინ აქედან წავედი შესანიშნავი შთაბეჭდილებებით და რაც მთავარია, თან წამყვა სიყვარული ამ უმშვენიერესი ქვეყნისა.

ქართველმა ხალხმა, რომელსაც ასეთი გენიალური წინაპარი ყავს, სათუთად შემოინახა უძველესი და უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობა და მის საფუძველზე შექმნა ახალი ეპოქის შესატყვისი კულტურა. ამ საზეიმო დღეებში თვალნათლივ ვხედავ, რომ შოთა რუსთაველი ცოცხალია, მისი ღრმააზროვანი იდეები ძვირფასია ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანისათვის. მრავალრიცხოვანი გამოცემები, მეცნიერული ნარკვევები, ლექსიკონები, რომლებიც გამოვიდა შოთას უკვდავი მემკვიდრეობის ასახსნელად, ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ შოთა რუსთაველი მომავალშიც ცოცხალ ძალად დარჩება ქართულ ეროვნულ ცხოვრებაში.

ბედნიერია ერი, რომელმაც ასეთი ბრწყინვალე კლასიკოსი მისცა მსოფლიოს.



სურათზე: რუსთაველის სტუმრები, მარჯვნიდან — კარლო ლევი (იტალია), რაფაელ ალბერტი და მისი მეუღლე მარია ტერეზა ლეონი (ესპანეთი).

მე ვარ უკვდავი...

მე ცისქვეშ გავჩნდი დიდი ხნის წინათ,
ბრძოლით მოვუვები დროჟამის სრბოლას.
ჩემ სულში წივის ისრების წვიმა
და უამრავი ხანძარი ბოლავს.
ბევრჯერ ნაკურთხი მარჯვენა მომჭრეს,
დამიწვეს ზვარი, სახლი, მერდინი...
იყო რამდენი თემური კოშკი,
შახაბაზი და ჯალალედინი.
მოსთქვამდა ველი გადარუჯული,
ბუხარს და კერას აქრობდა ცრემლი.
ვენახს მიწვავდა ყველა ურჯულო,
სულში მიყრია ვაზების ფერფლი.
ხმლით თავის მოჭრა ერჩივნა ქართველს
ვიდრე მტრების წინ მოხრა ქედისა.
შუბებით მჩეხეს, ხანჯლებით მფატრეს
და მხრების გაშლა გვიან მეღირსა.
მწერწავდა ქარი, მსუდრავდა ბოლი,
მედგა სისხლის და ცრემლის ჭაობი.
მტერი მჯობნიდა სიმრავლით მხოლოდ,
მტერს მე ვჯობნიდი გამბედაობით.
რამდენი ღამე მოვიდა შავი
და ვერ ჩამიქრო სულის ნათელი,
ვერ დამიმსხვრია იმედის ნავი
და კვლავ ქართველად დარჩა ქართველი.
ვინც ქედის მოხრას ბრძოლა არჩია,
მონურ სიცოცხლეს — ხანძარში დაწვა,
ვინც ქართული მზე გადაარჩინა,
თვითონ მიწაში უმზეოდ ჩაწვა.
ხშირად ქართული მიწის სარბევად
ედავებოდნენ დევებს დევები...
და წითლდებოდა თეთრი ვარდები,
კვლავ ივსებოდა სისხლით ხევები.
ლახვრით ვლახვრავდი მლახვრელთა
ლახვარს,
მე ახლაც ბევრი ჭრილობა მტკივა.
ცხოვრების მღვრიე მდინარეს გაჰყვა
დღენი — შეკრული თვეების ტივად.
ქართველთა სისხლის მდინარეს გაჰყვა
წლები — შეკრული დროჟამის ტივად.
თუმც გავუძელი უამრავ ლახვარს,
ის ჭრილობები აქამდე მტკივა.
ჩემ სულში ბორგავს ასპინძის ომი,
სამგორის ველზე დაღვრილი სისხლი.
კვლავ ბრდღვინავს სადღაც ირანის ლომი
და ტყვე ქართველთა გოდება ისმის.
ჩემს მუხას მოსჩრეს რამდენი ფესვი,
რამდენჯერ დავრჩი გულდადაღული,
ფერეიდანის ძახილი მესმის,
მესმის ძახილი ოშკის, ხახულის...
ხალხს მითიბავდა სიკვდილის ცელი,
გრიგალთა გუგუნს ახშობდა კვნესა.
ჰაუ, რამდენი ჭრილობა ძველი
მოუშუშებლად მაწუხებს დღესაც.
უდაბნოს ცხელი ქვიშა მარხავდა
ქართველებს გაწრთვნილს მამელუკებად.
ზოგჯერ ჩემივე შვილი მლახვრავდა,
როდესაც მტერი თვალებს უხვევდა.
ავბედითობას მახვილით ვსდევდი,
ქაჯეთის ციხეს ბევრჯერ შევება.
სული სავსე მაქვს კრწანისის სევდით
და საააკაძის ხმლის ნამტვრევებით.
რაც ჩემს მიწაზე ცეცხლი ნთებიათ,
გავანიავე ფერფლად და ნაცრად.
ეს მთები ჩემი სულის მთებია,
ერთი დგას ნაზად, მეორე მკაცრად.
მთა არის ფიქრი ზეცისკენ ლტოლვის,
მეც მთისებრ ვწუხვარ, მთასავით ვხარობ...
რაიც ჩემს მთებში მოსულა თოვლი,
გადამიდნენია ანკარა წყაროდ.
ზოგჯერ გუთანი მეპყრა მახვილად,
მქონდა ვაებით სავსე თვალები...
რაც ჩემს მიწაზე ცრემლი დაღვრილა,
ამომიშვრია მზის მხურვალებით.
ვისაც უკაფავს ჩემი ბაღნარი
და აუკლია ხარხარით გზები,
ჩამხამებია ბოლოს ხარხარი,
ქვაგულზე უღვთოდ დაჰყრია ქვები.
მაგრამ კვლავ ცოცხლობს ჩემი ვარძია,
ჩემი თბილისი, გორი და მცხეთა.
ღრუბლები ძაძად აღარ მაცვია
და ჩემი მთები მღერიან ერთად.
სვეტიცხოველი ბრწყინავს შვიდფერად,
დგას ნიკორწმინდა, გელათი, ჯვარი...
ვისმენ უძველეს ქართულ სიმღერას,
კვლავ რომ გალობენ რიონი, მტკვარი...
ქვეყნად ქართველის გაჩენის დღიდან
ჭიდილი, ბრძოლა, ტანჯვა და შფოთვა,
მერწმუნეთ, თუნდაც ამისთვის ღირდა,
მე რომ დავბადე რუსთველი შოთა.
რაიც ჩემს სულში სიკეთე ვპოვე,
როდი დავუთმე ღრუბლებს და ნისლებს,
ხელხვავიანად მივეცი პოეტს
და დამიბრუნა პოეტმა ისევ.
ლაშქარში ედგა შოთას კარავი
და გაზაფხული სჯაბნიდა ზამთარს...
შოთას მხნეობით ვძლიე ვარამი
და დავარბიე სიავე ჟამთა.
ხმალშემართული იდგა მთა-ბარი,
ვმუსრავდი დუშმანს—სისხლით გალეშილს,
რუსთველის სიტყვა, როგორც ლამპარი,
გზას მინათებდა უკუნ ღამეშიც.
თუ გავუძელი ამდენ ვაებას,
თუ ურვა-წუხილს ვებრძოდი მედგრად,
უქროს იმედად და უკვდავებად
მხარში რუსთველის გენია მედგა.
კაშკაშა სულს და ძმობას უგალობს
მზის სიყვარულით გამთბარი წიგნი.
რამდენი მეფე გაქრა უკვალოდ,
შოთა კვლავ ცოცხლობს თავისი სიბრძნით.
ხალხის გულში დგას ნათლის სვეტებად
მისი უკვდავი სულის სხივები.
შოთა არასდროს არ დაბერდება
როგორც მზე, მიწა, კაცის იმედი...
ფესვებგადგმული კიდითი კიდე,
მარად იბრწყინვებს შოთას სახელი,
ქართული მიწა იცოცხლებს ვიდრე,
ვიდრე იცოცხლებს ერთი ქართველი.
ციდან დამყურებს ვით უკვდავება
და შოთას სული, ნათელი სული,
დღეს ჩემს მიწა-წყალს მფარველ ღვთაებად
კვლავ დასტრიალებს, პატრონობს,
უვლის...
თუმცა უზომო სისხლი დავღვარე,
ამ ბრძოლებს ფუჭად არ ჩაუვლია:
დღეს ჩემი სულის ვრცელი ბაღნარი
უამრავი მზით დახუნძლულია.
მგონია ხოლმე: ეს იყო გუშინ,
ამირანი რომ დევებს შეება,
დღეს ათასი მზე მინთია გულში,
ჩემი ფიქრები ბრწყინავს მზეებად.
მე ჩემი სულის ღმერთი მწამს მხოლოდ,
არ მსურს ვიწამო სხვათა ღმერთები...
მივდივარ მზისკენ და ვიცი, ბოლოს
ცის უკვდავებას შევუერდები.
მზით განათებულ მომავალს ვხედავ,
ველარ მაშინებს ღამე და ხრამი.
მე ვარ უკვდავი რუსთველის დედა
და უკვდავებას მიგალობს ჟამი.
მე საქართველო მქვია სახელად.

აკაკი გეწაძე.



შოთა რუსთაველი
მოქანდაკე დ. ყიფშიძე.

საპატიო დოქტორები

ქართული ფილოლოგიის კვლევაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით მეცნიერებათა საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭა სამ საზღვარგარეთელ ქართველოლოგს.

თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორები გახდნენ ლონდონის უნივერსიტეტის ქართველოლოგიის კაბინეტის გამგე **დევიდ ლანგი**, ჟალაჟ ოსლოს უნივერსიტეტის რექტორი **ჰანს ფოქტი**, რომელიც 32 წლის წინათ თბილისში სწავლობდა. დაუსწრებლად არჩეულია პოლონელი აღმოსავლეთმცოდნე **ანანიას ზიანჩკოვსკი**.

პოეტის უკვდ

ირაკლი ბაშიძე,
პოეტი-აკაფკოსი.

— ძვირფასო ამხანაგებო!.. ძვირფასო მეგობრებო!.. ღრმად პატივცემულო სტუმრებო!

რა იქნებოდა ცივილიზაციის, კულტურის ისტორია, რომ ეს ისტორია უსასრულოდ სწორ, ზომიერად გაშლილ ტრამალს ჰგავდეს და ამ სწორი უსასრულობის ზედაპირზე აქა-იქ ცად აზიდულნი, ცაში ავარდნილნი არ იყვნენ მწვერვალები, რომელნიც ჩვენი დედამიწის ყოველი კუთხიდან ჩანან. ეს მწვერვალები მუდამ გვტაცებენ თვალსა და გონებას, განუწყვეტლივ გვიხმობენ თავისკენ, როგორც თქვა კავკასიონის ქედების მიმართ ჩვენგან რამდენიმე წლის წინ წასულმა მშვენიერმა ქართველმა პოეტმა, „მსდევდნენ, მეძახდნენ, მიზიდავდნენ ის მწვერვალები...“

მწვერვალები...

მაგრამ ამ ცადაზიდულ, დიდებულ მწვერვალთაგან ზოგნი მარადიული თოვლით დაფარულნი, მეფური სიმშვიდით დგანან, გვაოცებენ და არ გვაშფოთებენ, თვალს გვჭრიან და ძილს არ გვიკრთობენ, ზოგნი კი უხსოვარი დროიდან აქამდე არ დამცხრალან, აქამდე არ დამშვიდებულან და თავისი ვულკანური მოუსვენრობით დღესაც შფოთავენ, დღესაც არ გვასვენებენ, ძილს არ გვანებებენ.

ჩემო ძვირფასო მეგობრებო! ჩვენო ძვირფასო სტუმრებო! თუ ჩვენ ოდესმე დედამიწის რომელსამე კუთხეში ამგვარი მწვერვალების ძირას ერთმანეთს შევხვედრივართ, იცოდეთ, საქართველომ დღეს თქვენ გისტუმრათ არა ცადაზიდული, მარად თოვლიანი, მეფურად მშვიდი მისი მყინვარის, უშბას ან თეთნულდის ძირას, საქართველომ თქვენ მოგიხმოთ ჯერაც დაუმცხრალ, ჯერაც ბობოქარ მწვერვალთან, მოგიხმოთ მე-12 საუკუნის მარად ცოცხალი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის იუბილეზე.

მან, სწორედ მან, პოეტმა შოთა რუსთაველმა, არ დააძინა ქართველი კაცი 700 წელიწადს.

მადლობა ღმერთს!

მაგრამ საქართველომ თქვენ იმიტომ როდი მოგიხმოთ, რომ მხოლოდ ამ უძილობის ამბავს მოგიყვეთ.

მართალია, მას სურს კიდეც დაწვრილებით მოგითხროთ მისი დრამატიზმით აღსავსე წარსულის ამბავი, ის ამბავი, თუ როგორ გადაურჩა სრულ ფიზიკურ განადგურებას ეს პატარა ქვეყანა საუკუნეების განმავლობაში, ქვეყანა, რომელმაც პირველი რომანი მეხუთე საუკუნეში შექმნა საკუთარ ალფაბეტზე და ამავე საუკუნეშივე თარგმნა ბიბლია.

არც მხოლოდ იმიტომ შევყრილვართ აქ, რომ ჩვენ, ქართველებმა, კანონიერი სიამაყის სიტყვები მოგასმენინოთ რუსთაველის გამო, იმის გამო, რომ შვიდასი წელიწადია, რაც ქართველი კაცი ამ დღეზე ოცნებობს, ოცნებობს მადლობა უთხრას თავის დიდ წინაპარს შოთა რუსთაველს, საქვეყნოდ, მთელი დედამიწის გასაგონად, რადგანაც ქართველ კაცს, ისტორიის მრავალ პარადოქსთაგან ერთ უდიდეს პარადოქსად მუდამ ის ამბავიც მიაჩნდა, რომ ამ შვიდასი წლის მანძილზე მსოფლიო მნათობთა თანავარსკვლავედში შოთა რუსთაველს მისი კუთვნილი ადგილი არ ჰქონდა მიჩენილი. ჩვენ კი მუდამ გვჯეროდა: ქართველ ერს რომ სხვა მისია არც ჰქონოდა ამ ქვეყნად, რუსთაველის წარმოშობით მოიხდიდა თავის ვალს კაცობრიობის წინაშე.

დიახ, ეს ასეა. მაგრამ საქართველომ თქვენ დღეს მოგიხმოთ და გისტუმრათ ცოცხალ ფორუმზე, ცოცხალ ზეიმზე, იმ პოეტის იუბილეზე, ვინც ჯერ კიდევ შუა საუკუნეების წყვდიადში ყველაზე მაღალ კვარცხლბეკზე დააყენა ადამიანი, დაიცვა და ადიდა ადამიანი, ვინც დიდებული ჰიმნი უძღვნა გონების განთავისუფლებას და მებრძოლი ჰუმანიზმის ქადაგებით შვიდასი წლის შემდეგაც ჩვენს გვერდით დადგა ჩვენს მრისხანე ეპოქაში.

და რა დიდი სიხარულის მომგვრელია იმის შეგნება, რომ ეს დღე, ჩვენგან ამდენი ხნის ნაოცნებარი და მხოლოდ ჩვენს ეპოქაში გათენებული დღე, ქართველთა დიდი წინაპრით — შოთა რუსთაველით შთაგონებული დღე, გადაქცეულია ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ზეიმად, მშვიდობისა და პროგრესის იდეების, ჰუმანიზმის მაღალი პრინციპების ზეიმად. აქ, ამ დარბაზში, დღეს შეყრილნი ვართ დედამიწის თითქმის ყოველი კუთხის წარმომადგენელნი, რომელთაც გვსურს გულახდილად ვისაუბროთ დღევანდელი ჩვენი კაცობრიობის ბედიღბლის, მისი კულტურის არსებითი საკითხების გამო. გავიაზროთ, რას გვიქადის ხვალინდელი დღე — იმ ძალების ზეიმს, ვისთვისაც თანაბრად ძვირფასია ეგვიპტის მიწაზე ნაპოვნი სამი ათასი წლის წინანდელი პაპირუსიც და ტეიარ დე-შარდენის ნააზრევიც; ინკების ტაძართა ნაშთებიც და პიკასოს ტილოებიც, — თუ იმ ძალების გამრავლებას, ვინც ახლა ბომბებს აყრის ვიეტნამის უძველეს მიწაზე მლოცველ ბუდისტებს, ვინც ოცნებობს ფაშიზმის ხელახლა აღორძინებაზე, ან კიდევ... ვისაც მშრომელი ხალხისათვის მავნედ და უსარგებლოდ მიაჩნია წარსულის მიერ კაცთა მოდგმის სადიდებლად შექმნილი უძვირფასესი სულიერი ფასეულობანი, ვინც ველურად წიხლავს კულტურის მონაპოვრებს და დღეს, მეოცე საუკუნის სამოციან წლებში, ჩვენდა სავალალოდ, ინკვიზიციის შემაძრწუნებელ დღეებს გვახსენებს.

გავხადოთ ადამიანის ფასი სტაბილური — აი რუსთაველის იდეალი. აი მთავარი ლოზუნგი, რაც უნდა ეწეროს ჩვენი ეპოქის პროგრესის, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი ძალების მაღალ დროშაზე.

ადამიანი!

ადამიანისა და ადამიანობის უპირველეს ნიშნად კი რუსთაველს სიყვარული მიაჩნდა, მისი უკვდავი პოემა სიყვარულის ჰიმნია, ხოლო ამ ჰიმნის ლეიტმოტივი რუსთაველურად თქმული უკვდავი მარადიული ჭეშმარიტებაა: „სიყვარული აგვამაღლებსო“.

მაშ ჩავიხედოთ თვით „ვეფხისტყაოსანში“.

მაგრამ ჯერ ის გავარკვიოთ, თუ რა საფუძველზე, რა სულიერ სამყაროში აღმოცენდა ეს დიდებული პოემა.

რუსთაველის დროინდელი საქართველო იყო სახელმწიფო, რომელიც ჰუმანისტურ პრინციპებს ემყარებოდა და რომლის კულტურულ საფუძველსაც ჰუმანისტური სულისკვეთება შეადგენდა. ამას რომ ვამბობთ, აქვე გავიხსენოთ, რომ საქმე შეეხება ერთობ ადრეულ ხანას, მეთორმეტე საუკუნეს, როდესაც დღევანდელ ევროპაში არსებულ სახელმწიფოთა უმრავლესობა და ამ სახელმწიფოთა კულტურა ძალიან შორს იდგა განვითარების მწვერვალისაგან.

ქართველთა ამ სახელმწიფოს შექმნას შეუჩერებელი აღმასვლის ხანგრძლივი ეპოქა უსწრებს წინ. და როდესაც ამ აღმასვლის ეპოქას თვალს გადაავლებთ, შესაძლოა ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩეთ, რომ თითქოს ის ძალები, რომლებიც რუსთაველის წინა საუკუნეებში ქმნიდნენ ქართულ კულტურას, რაღაცნაირად ჩქარობდნენ ამ კულტურის ზვიადი შენობის ამოყვანას, რათა ბოლოს შოთა რუსთაველს საშუალება მისცემოდა სწორედ მეცამეტე საუკუნეში მომხდარი საბედისწერო კატასტროფისთვის სულ რაღაც ორიასამი ათეული წლით დაესწრო და ეს შენობა დიდებულად მოეგუმბათებინა.

ცხადია, ეს „სიჩქარე“ თვით კულტურის შინაარსს როდი გულისხმობს. ლაპარაკია კულტურული აღმშენებლობის საოცარი ინტენსივობის ხარისხზე, ყოველ შემთხვევაში ის, რაც ქართველობამ მოასწრო ქრისტიანობის მიღების შემდეგ მე-4-12 საუკუნეთა მანძილზე მუდმივი თავდაცვითი ომების, მტერთაგან რბევისა და ნგრევა-განადგურების ვითარებაში, გაცილებით მეტ დროს საჭიროებს.

ინტენსიურმა კულტურულმა საქმიანობამ ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა. ეს თანაბრად ითქმის როგორც საგანმანათლებლო საქმის, ისე ხელოვნების სულ სხვადასხვა დარგების შესახებ, აგრეთვე ფილოსოფიური და საისტორიო მწერლობის, განსაკუთრებით მხატვრული მწერლობის შესახებ.

უკვე პირველსავე აგიოგრაფიულ თხზულებებში, ხოლო შემდეგ სასულიერო პოეზიაშიც და საისტორიო თუ ფილოსოფიურ მწერლობაშიც აშკარა გამოკვეთილობით იჩინა თავი ისეთმა ასპექტებმა, რომლებიც გულისხმობდნენ სწორედ ადამიანს, ადამიანის განხილვას მის მთლიანობაში — როგორც სულიერი, ისე ფიზიკური არსებობის თვალსაზრისით, ტკბობას ადამიანის სიმშვენიერით, სიყვარულის მოტივებს, აგრეთვე ჭეშმარიტების დაურიდებელი ძიებისა და დაცვების მომენტებს.

აქ საკმარისი იქნება გავიხსენოთ, როგორი შეუფარავი აღტაცებით აგვიწერს მეათე საუკუნის ქართველი მწერალი გიორგი მერჩულე გრიგოლ ხანძთელის — ბერისა და ასკეტის ფიზიკურ სრულყოფილობას:

„ხოლო იყო ხილვითა დიდ, ხორცითა თხელ, ჰასაკითა სრულ, ყოვლად კეთილ, სრულიად გვამითა მთელ და სულითა უბიწო“.

ხოლო ბუდას ცხოვრების ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული ვერსია — ქართული „სიბრძნე ბალავარისი“ წმიდანად შერაცხილ ბერებს მეფეს სიკვდილის წინ ამგვარ გულისშემძვრელ აღსარებას აღმოათქმევინებს:

„ბუნებით თანაც ყოველსა სულსა მწუხარებაი განშორებისათვის ხორცთაისა და დატევებისათვის ჰაერისა და ნათლისა და წარსვლისათვის უცხოებად, სადა-იგი არა ვიცით, თუ ვითარსა იწროებასა მივალთ“.

არც კონფესიური წრეების მიერ ხშირად სატანის განსახიერებად მიჩნეული ქალის ქართველთა განმანათლებლად მოვლენა ყოფილა შემთხვევითი ქართული ქრისტიანული კულტურისათვის. არც ფსევდო-დიონისე არეოპაგელის, საერთოდ ნეოპლატონიზმის იდეებით გატაცება, პლატონისა და არისტოტელეს დაუცადებელი შესწავლა, ბოლოს — იმავე სასულიერო მწერლობის წიაღიდან მაღალგანვითარებული საერო მწერლობის ამოზრდა და ქართული ენის მესიანისტური სულისკვეთებით გამსჭვალული სადიდებლის შექმნა ყოფილა შემთხვევითი ქართული კულტურისათვის.

დავუმატოთ ყოველივე ამას, რომ საქართველოში მისი გეოგრაფიული მდებარეობისა და აქ მცხოვრები ხალხის ტემპერამენტისა და მსოფლშეგრძნების მეოხებით იმთავითვე ხდებოდა უმაღლესი ხასიათის სინთეზი დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა (ხაზს ვუსვამ — სინთეზი და არა მექანიკური შერწყმა), მაშინ ჩვენ მიახლოებით მაინც მონიშნული გვექნება რუსთაველის წინასაუკუნეების და თვით რუსთაველის ეპოქის ქართული კულტურის, მისი იდეალების კონტურები.

მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვი, ეს ყოველივე იყო ზვიადი შენობის მხოლოდ საძირკველი და კედლები, რომელიც მოუგუმბათებელი დარჩებოდა, საქართველოს შოთა რუსთაველი რომ არ მოვლენოდა.

რუსთაველმა დაასრულა, საბოლოოდ ჩამოაყალიბა და გამოკვეთა ადამიანობის ის უმაღლესი იდეალი, რომელზეც კი საერთოდ შეეძლო ეოცნება შუა საუკუნეების მსოფლიოს, და ვაი რომ არა მარტო შუა საუკუნეებისას. მან მანამდე და შემდეგშიც დიდხანს არნახულ სიმაღლეზე აიყვანა ადამიანი. ამით მან დიდი ხნით წინ უსწრო ევროპის რენესანსს.

მაშ ასე! ყველაფერი გამზადებულია რთული ქიმიური რეაქციისათვის ახალი უძვირფასესი და უკეთილშობილესი ელემენტის მოსაპოვებლად, რეაქციაში შემავალი ყველა ელემენტი მოცემულია. აკლია მხოლოდ ერთი რამ — ამ შემთხვევაში უმთავრესი ელექტრული დენის ნაპერწკალი.

ეს ღვთაებრივი ნაპერწკალია რუსთაველის გენია. მხოლოდ და მხოლოდ ამ გენიალობის მეოხებით გახდა შესაძლო წარმოქმნილიყო ის უძვირფასესი და უკეთილშობილესი ელემენტი, რომელსაც ეწოდება „ვეფხისტყაოსანი“.

აქ დამსწრეთა უმრავლესობას ჩემზე უკეთ მოეხსენება რა იყო ის გორდიასეული კვანძი, რომლის გახსნა ვერა და ვერ მოახერხა შუა საუკუნეთა აზროვნებამ — რელიგიურმა, ფილოსოფიურმა, რელიგიურ-ფილოსოფიურმა თუ მხატვრულმა, ეს გახლდათ შემეცნებაში გაჩენილი უფსკრული ღმერთსა და გამოვლენილ სამყაროს, შემოქმედსა და შექმნილს შორის. ამ უფსკრულის საიდუმლოს ამოსახსნელად ამაოდ დაშვრნენ შუა საუკუნეების უკეთესნი და უბრწყინვალესნი გონებანი; შედეგი მუდამ ერთი იყო: ჭეშმარიტია მხოლოდ ღმერთი; ხოლო გამოვლენილი სამყარო მატერიალური ქვეყანა ანუ სოფელი, როგორც ძველ საქართველოში უწოდებდნენ — მხოლოდ მოჩვენებაა, სიზმარია, არარსებობაა, ბოროტების, სატანის საუფლოა.

დაჰიპნოზებული, მოჯადოებული ჩანდა ადამიანის ცნობიერება ამ გათიშულ სამყაროს, უფსკრულში ჩავარდნილ ნაპირს და გამოსავალი ვერსად ეპოვნა, და თუ ფილოსოფოსნი და ასკეტნი ნუგეშს მასში ჰპოვებდნენ, რომ აქეთა, გამოღმა საერთოდ ზურგს შეაქცევდნენ ხოლმე და მხოლოდ მიღმა მიაპყრობდნენ მზერას, მწერალთა და ხელოვანთა ხვედრი უფრო ელი იყო. ერთი მხრივ ისინი მთელი არსებით აქ იყვნენ, ამ სანაპირას, გამოღმა ნაპირას, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მხოლოდ რომლისგანაც მათ თავიანთი ქმნილებანი უნდა გამოეძერწათ, ცნებებისაგან კი არ შედგებოდა, არამედ სწორედ ამ გამოღმა სოფლის უკავშირდებოდა — მათთვის ეს იყო კონკრეტული ჭეშმარიტება. მეორე მხრივ რელიგია და ფილოსოფია მათ ასწავლიდნენ ჭეშმარიტია მხოლოდ მიღმა ნაპირი, უფსკრულს გაღმა არსებობდა ერთადერთი გარემომცველი სინამდვილე დასაგმობია და ზურგშესაქცევი ასე მათ შეგნებაში გაჩენილი გამოუვალობის შინაგანი გამოძახილი დაღად აჩნდა მათსავე შემოქმედებას.

ასე გრძელდებოდა საუკუნეების მანძილზე.

ასეთად გვესახება ჩვენ ვითარება ეპოქისა, რომელშიაც ქვეყანას მოევლინა ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი.

აქ წინასწარ უნდა შევნიშნოთ ერთი წუთით დავუშვათ, რომ ჩვენ არაფერი ვიცით რუსთაველის მსოფლმხედველობის შესახებ. ამ თვალსაზრისით არ შეგვიძლია „ვეფხისტყაოსანი“. ვინც ამ პოემას ერთხელ მაინც წაიკითხავს, ისედაც ნათელი უნდა შეიქნეს, რომ ავტორი ამ პოემისა, ისედაც იგი წარმოგვესახება „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონებიდან ფსიქოლოგიური მხრივ არასგზით არ შეიძლება იყოს მისთვის ისევე არ შეიძლება არსებობდეს გათიშული სამყარო, როგორც არ არსებობენ მისთვის ბუნებაგათიშული გაორებული „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები მონოლითურნი არიან. ამიტომაც ვეება ნატეხებისაგან არიან გამოძერწილნი. ისინი არ არის გათიშული, გაორებული პიროვნება, მიუხედავად იმისა, რომ ნესტანის პოვნის იმედი გადაიწურა და მანაც უდაბნოს შეწირა თავი, ცხოვრებას განუდგა. შექმნილ სიტუაციაში მთლიანი ადამიანება სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა. ეს სხვათა შორის კარგად გაიკეცეს ჩვენმა ფსიქოლოგებმა.

ზემოთ თქმულიდან თავისთავად უნდა იყოს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ჩვენ მონისტურ თვალთახედვას ვეძებთ. მაგრამ რა ხასიათისა უნდა იყოს ეს მონიზმი? შეიძლება დავუშვათ, რომ თავისი ეპოქის დუალიზმი რუსთაველმა ვერ დაძლია, უფსკრული იმით გადალახა, რომ საერთოდ მოხსნა ნაპირის პრობლემა? ჩვენს მეცნიერებაში ამგვარი აზრიც გამოითქვა — რუსთაველი მხოლოდ ამქვეყნიურობითაა დაინტერესებული, მისი ინტერესების სფერო ამქვეყნიურობის საზღვრებს პრინციპულად არ სცილდებაო. ჩემი აზრით საკითხის ამგვარად დაყენება საკითხის გამარტივებაა. მოდი ნუ უგულებელვყოფთ ისტორიულ-ფსიქოლოგიურ ფაქტსაც და ნუ მივაწერთ რუსთაველს იმას, რაც სულ უკანასკნელ ხანს, აგერ სულ ერთი საუკუნის მანძილზე იქნა მოპოვებული ჩვენ ავიურევთ ერთმანეთში აზროვნების შეუზღუდველობასა და ფანტაზიის უფლებას ერთი მხრივ და ათეიზმისა და მატერიალიზმის მეორე მხრივ. ეს უკანასკნელი მომენტი, რამდენადაც ეხება მე-12 საუკუნეს ეხება, საერთოდ გამორიცხულად უნდა მივიჩნიოთ. მოვლენები მათშივე მოცემული კანონებით უნდა ავხსნათ და არა ჩვენ მიერ მათთვის თავსმოხვეულით.

წინააღმდეგ გაცილებით უფრო ადრინდელ ხანაში გამოთქმული თვალსაზრისისა, რუსთაველს არ ესმოდა გაღმა ნაპირის პრობლემა, მაგრამ წინააღმდეგ მისივე ეს გაბატონებული ტრადიციისა, ზოგი არ შეუქცევია გამოღმა ნაპირის სინამდვილისათვის თეორიულადაც კი. და მიუხედავად ამ წინააღმდეგობისა, უფსკრული მაინც დაძლეულია.

უფსკრული იმით იძლია, რომ ის იგი, ეს უფსკრული იქნა გამოცხადებული ბოროტებად და არსებულთა სამყარო. ხოლო რუსთაველის მიხედვით ბოროტება არის, იგი მხოლოდ მოჩვენებაა, ილუზია-ღმერთსა და ქმნილებას შორის უფსკრულად გაწოლილი. ვისაც სურს ღმერთს ეზიაროს, ბოროტება უნდა დაამარცხოს, უნდა დაამტკიცოს მისი არაარსებობა. ეს გზა სწორედ სატანის დათრგუნვა და უზენაესთან მიახლოება.

ღმერთმა იმიტომ როდი შექმნა, რომ ბოროტების საუფლოდ ეცია იგი. ან როგორც რუსთაველი ამბობს, „ბოროტიც ვით შეექმნა კეთილისა შემოქმედსა!“ ერთი კეთილს მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს!“ უთვალსაჩინოესით გაშლილი ქვეყანა ღმერთის მიერ არის შექმნილი და შექმნა სწორედ კაცთათვის, ადამიანისათვის, რადგან ადამიანი ღმერთს წილია, უიმისოდ სამყაროს მთლიანობა ვერ იარსებებს და ადამიანებს სწორედ ამ ხარისხით მოვლენილი სამყაროს კვლავ ღმერთან დაბრუნების, მასთან შერთვის აღმავალ ხაზს.

სამისოდ ორი გზა არსებობს: ვიწრო და სიბრძნე.

რუსთაველის გაგებით სიყვარული მიწიერ არსებაშივე შეუძლია გვაზიაროს უმაღლეს ჰარმონიას და ამგვარად მიგვაახლოოს უზენაესს. რაც შეეხება სიბრძნეს, იგი ასევე გზით ხორციელდება, ხოლო

*) წაკითხულია მოხსენებად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და მინისტრთა საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1966 წლის 30 სექტემბერს.

ს უკვდავება

ირაკლი ბაშიძე,
პოეტი-აკაიკოსი.

ღმერთი; ხოლო გამოვლენილი სამ, მატერიალური ქვეყანა ანუ ოფელი, როგორც ძველ საქართველში უწოდებდნენ — მხოლოდ ოჩვენებაა, სიზმარია, არარსებუ მაიაა, ბოროტების, სატანის აუფლოა.

დაჰპენოზებული, მოჯადოებულ ესჩერებოდა კაცობრიობა ამ ათიშულ სამყაროს, უფსკრულის ნაპირს და გამოსავალი ვე ხად ეპოვნა, და თუ ფილოსოფ და ასკეტნი ნუგეშს მასში ოვებდნენ, რომ აქეთა, გამოღმა ს საერთოდ ზურგს შეაქცევ ნენ ხოლმე და მხოლოდ მიღმა ს მიაპყრობდნენ მზერას, მწე ალთა და ხელოვანთა ხედრი უ ძნელი იყო. ერთი მხრივ ისინი თელი არსებით აქ იყვნენ, ამ სამ ში, გამოღმა ნაპირას, თუნდაც ბარალო მიზეზის გამო, რომ მა, რომლისგანაც მათ თავიანთი ბილებანი უნდა გამოეძერწათ, ხა ცნებებისაგან კი არ შეიდგე ოდა, არამედ სწორედ ამ გამოღმ ყაროს უკავშირდებოდა — მა თვის ეს იყო კონკრეტული ჰეშ ტება. მეორე მხრივ რელიგია ფილოსოფია მათ ასწავლიდნენ ჰეშმარიტია მხოლოდ მიღმა ბში, უფსკრულს გაღმა არსებობ ოლო გარემომცველი სინამდ ილე დასაგმობია და ზურგშესაქ ად ასე მათ შეგნებაში გაჩენი ი გამოუვალობის შინაგანი გან ა, მძიმე დალად აჩნდა მათსავე ემოქმედებას.

ასე გრძელდებოდა საუკუნეთა ანძილზე.

ასეთად გვესახება ჩვენ ვითარ ამ ეპოქისა, რომელშიაც ქვე ნას მოევლინა ქართველი პოეტთა რუსთაველი.

აქ წინასწარ უნდა შევნიშნოთ ი წუთით დავუშვათ, რომ ენ არაფერი ვიცით რუსთაველ ფლმხედველობის შესახებ. ამ ვალსაზრისით არ შეგვისწავლია ხტისტყაოსანი“. ვინც ამ პოე ს ერთხელ მაინც წაიკითხავს, მა ს ისედაც ნათელი უნდა შეიქ ს, რომ ავტორი ამ პოემისა, რ ადაც იგი წარმოგვესახება ეფხისტყაოსნის“ სტრიქონებიდ შინდა ფსიქოლოგიური მხრივ ასგზით არ შეიძლება იყოს მიმ რიამე დუალისტური კონ ციისა. „ვეფხისტყაოსნის“ ავ ისათვის ისევე არ შეიძლება ებობდეს გათიშული სამყარო, ორც არ არსებობენ მისთვის ნებაგათშული გაორებული გმ ი. „ვეფხისტყაოსნის“ პერსო ები მონოლითურნი არიან. ისი თქოს კლდის ვეება ნატეხე საგან არიან გამოძერწილნი. ტ ი არ არის გათიშული, გაო ული პიროვნება, მიუხედავად ი, რომ ნესტანის პოვნის იმედი ანურა და მანაც უდაბნოს შ ა თავი, ცხოვრებას განუდგა. ქმნილ სიტუაციაში მთლიანი პ ნება სხვაგვარად ვერ მოქ ა. ეს სხვათა შორის კარგად ამტკიცებს ჩვენმა ფსიქოლო ა.

ეთით თქმულიდან თავისთავად დი უნდა იყოს, რომ „ვეფხის ოსანში“ ჩვენ მონისტურ თვალ რისს ვეძებთ. მაგრამ რა ხასია ის უნდა იყოს ეს მონიზმი? შე ება დავუშვათ, რომ თავისი ის დუალიზმი რუსთაველმა ძი დაძლია, უფსკრული იმით ალა, რომ საერთოდ მოხსნა ძლია ნაპირის პრობლემა? ჩვენს ერატურაში ამგვარი აზრიც გა ქვა — რუსთაველი მხოლოდ ქვეყნიურობითაა დაინტერესებუ მისი ინტერესების სფერო ქვეყნიურობის საზღვრებს პრინ ულად არ სცილდებაო. ჩემი აზ ი საკითხის ამგვარად დაყენებ საკითხის გამარტივებაა. მოდი უგულებელვყოფთ ისტორიულ ვალსაზრისს და ნუ მივაწერთ ხთაველს იმას, რაც სულ უკან ულ ხანს, აგერ სულ ერთი სა უნის მანძილზე იქნა მოპოვებუ ნუ ავურევთ ერთმანეთში აზ ნების შეუზღუდველობასა და ისუფლებას ერთი მხრივ და ეზმისა და მატერიალიზმის მიჯ მდე მისვლას მეორე მხრივ. ეს ნაკნელი მომენტი, რამდენადაც ქმე მე-12 საუკუნეს ეხება, სა ოდ გამორიცხულად უნდა მიე ოთ. მოვლენები მათშივე მო ული კანონებით უნდა ავხსნათ არა ჩვენ მიერ მათთვის თავს ვეულით.

წინააღმდეგ გაცილებით უფრ გვიანდელ ხანაში გამოთქმული საზრისისა, რუსთაველს არ ა ხსნია გალმა ნაპირის პრობლე მაგრამ წინააღმდეგ მისივე ეპ ს გაბატონებული ტრადიციისა, რგი არ შეუქცევია გამოღმა ირის სინამდვილისათვის თეო ულადაც კი. და მიუხედავად ამი წინააღმდეგობისა, უფსკრუ მაინც დაძლეულია.

უფსკრული იმით იძლია, რომ ით იგი, ეს უფსკრული იქნა გა ბედებული ბოროტებად და არაფ ელნათა სამყარო. ხოლო რუს ელის მიხედვით ბოროტება არ ია, იგი მხოლოდ მოჩვენებაა, უზია-ღმერთსა და ქმნილებას ირის უფსკრულად გაწოლილი. აც სურს ღმერთს ეზიაროს, მ ბოროტება უნდა დაამარცხოს, და დამტკიცოს მისი არაარსობ დარწმუნდეს გამთიშველი უფს ელის არარსებობაში. ამ გზის გ ა სწორედ სატანის დათრგუნ და უზენაესთან მიახლება.

ღმერთმა იმიტომ როდი შექმნ ქვეყანა, რომ ბოროტების საუფ დ ექცია იგი. ან როგორც რუს ელი ამბობს, „ბოროტიჩცა ვით ქმნა კეთილისა შემოქმედსა!“ ერთი კეთილს მოავლინებს და ოტსა არ დაბადებს!“ უთვალავ ერით გაშლილი ქვეყანა ღმერ მიერ არის შექმნილი და შექმ ია სწორედ კაცთათვის, ადამი თვის, რადგან ადამიანი ღმერ ილია, უიმისოდ სამყაროს დიანობა ვერ იარსებებს და ად ანი ახორციელებს სწორედ გა ლენილი სამყაროს კვლავ ღმერ ან დაბრუნების, მასთან შერთ ა.

ამავალ ხაზს.

საამისოდ ორი გზა არსებობს – სიყვარული და სიბრძნე.

რუსთაველის გაგებით სიყვარ მიწიერ არსებაშივე შეუძლია ვიაროს უმაღლეს ჰარმონიას ამგვარად მიგვაახლოოს უზენა რაც შეეხება სიბრძნეს, იგი გ ის გზით ხორციელდება, ხოლო გონების შესაძლებლობანი რუსთაველისათვის უსაზღვროა. ადამიანს გონება იმიტომ აქვს ბოძებული, რომ მისთვის შექმნილი ქვეყანა შეიმეცნოს, აქვე ამოიკითხოს არსებობის უღრმესი საიდუმლოებანი და უზენაესი მიზნის მისაღწევად გამოიყენოს ეს ცოდნა: „არა ვიქმ. ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა, მით ვისწავლებით მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“. ბრძენისთვის არ არსებობს გამთიშველი უფსკრული. მან იცის, რომ ეს უფსკრული ილუზიაა და არა ქვეყანა. ხოლო ილუზიას, ბოროტებას არცოდნა ბადებს.

აქ არის პრინციპული სხვაობა რუსთაველსა და შუა საუკუნეთა ტრადიციულ აზროვნებას შორის.

შუა საუკუნეთა მოაზროვნე იტყვის: ჰეშმარიტება ამ ქვეყნად არ იპოვნება, ეს ქვეყანა მხოლოდ ბოროტების საუფლოა, მოჩვენებაა, ილუზიაა, ეს ქვეყანა ისევე არა ჰგავს ღმერთს, როგორც წყვდიადი არა ჰგავს მზეს.

რუსთაველი იტყვის: ეს ქვეყანაც ღმერთის მიერ არის შექმნილი, და შექმნილია კაცთათვის, ხოლო კაცი ღმერთის წილია; მაშასადამე, ამ ქვეყნად კაცის მოქმედება კაცის პირდაპირი დანიშნულებაა და არა ბოროტების ტყვეობაში ყოფნა. მხოლოდ კაცის აქტიური მოქმედებით დაითრგუნება ბოროტება და გამოაშკარავდება მისი არარსებობა. ეს ქვეყანა მზით არის განათებული, ხოლო მზე ხატია ღმერთისა. ქვეყნიური სინათლეც ღვთაებრივი სინათლეა და არა ბნელი, წყვდიადი.

სუფისტი პოეტი იტყვის: მე ვეტრფიალები ჩემს მიჯნურს, მაგრამ ეს მართლა მიჯნური როდია, — მისი ტრფიალით მე ღმერთს ვეტრფიალები და შევერთვი კიდეც მას საზეო მიჯნურობის ექსტაზის ჟამს, როდესაც ამ ქვეყნიურობის ბორკილებისაგან ვთავისუფლდები.

რუსთაველი იტყვის: რეალურად არსებული პიროვნების და არაღვთაების უსიცოცხლო სიმბოლოს სიყვარული გვაზიარებს უმაღლეს ჰარმონიას, რადგან მისი მეოხებით დაიძლევა ბოროტება, ჩამოგვეხსნება მოჩვენებითი ბორკილები და ჰქრება ილუზია ღმერთისა და კაცის გათიშულობისა.

სქოლასტიკოსი იტყვის: მე შევიმეცნებ ქვეყანას ტიტანური ჯაფის მეოხებით მოპოვებული ცნებებით, მაგრამ უზენაესი ჰეშმარიტების საწვდომად ჩემი ცნებები უძლურია და, თუ გამოცხადების სიბრძნე არ ჩამომეშველა, ჩემი გონება ვერასოდეს ვერ გადალახავს მქმნელსა და შექმნილს შორის გავლებულ მაგიურ ზღვარს.

რუსთაველი იტყვის: უზენაესი ჰეშმარიტების საწვდომად ადამიანს არ სჭირდება მისტიკური ექსტაზის გზით მიიღოს გამოცხადების სიბრძნე. ღმერთმა ადამიანს გონება მიანიჭა მისივე — ღმერთის ბუნების განსასახიერებლად ადამიანში, ღმერთი და ადამიანი სწორედ გონების მეოხებით არიან ერთნაირი, და ამდენად ადამიანის გონების შესაძლებლობებიც უსაზღვროა.

არ ვიცი, ვინ როგორ ფიქრობს, მაგრამ მე მეჩვენება, რომ ამ ფუძემდებლური იდეების დასამკვიდრებლად სულაც არ იყო აუცილებელი ქრისტიანული ფილოსოფიის, კონფესიონალური ცრურწმენებით შერყვნილი ქრისტიანული მოძღვრების ფარგლებს გარეთ გასვლა. მიუკერძოებელი ადამიანი ყოველივე ამის საფუძველს სახარებაშიც იპოვნის, მოგვიანო ხანის ქრისტიან ფილოსოფოსებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მით უფრო მიაკვლევდა ამას გენიალური პოეტის ინტუიცია. ისიც შესაძლოა, რუსთაველმა გაცილებით მეტი დაინახა ქრისტიანობაში, ვიდრე ამას სპეკულატიური ფილოსოფია ახერხებდა. რაღა თქმა უნდა, როგორც ჩვენმა მეცნიერებმა ცხადყვეს, ეს ყოველივე ესოდენ ნათლად ვერ გამოიკვეთებოდა, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ფილოსოფიური ღვაწლი რომ არა. მაგრამ აქ ხომ ლაპარაკია ამათუ იმ იდეის გამოსამუშავებლად არსებულ საკმაო საფუძველზე და არა იდეათა უშუალო სესხებაზე.

რაკი გამოირიცხა მქმნელსა და შექმნილს შორის გავლებული უფსკრული და დაისახა ადამიანის ღმერთამდე ამაღლების უშუალო გზები (სიყვარული და სიბრძნე), ცხადი უნდა იყოს, რომ ადამიანის მოქმედებას ფასი უნდა ჰქონდეს არსებობის ორივე პლანისთვის — საღმრთო და საამქვეყნო პლანებისთვის. აქედან კი უდიდესი მნიშვნელობის დასკვნა გამომდინარეობს: ღმერთთან შესარწყმელად მიმსწრაფი ადამიანის ამქვეყნიური საქმიანობა ფუჭად და ამაოდ დაშვრომა კი არ არის ამაოებისავე ასპარეზზე (როგორც მიღებული იყო შუა საუკუნეთა ტრადიციისამებრ), არამედ მთლიანი სამყაროს განვითარების პროცესის მიუცილებელი ნაწილია, საბოლოოდ ისევ და ისევ საღმრთო საქმეა. ოღონდ ისიც ცხადია, რომ ეს ეხება მხოლოდ ისეთი ადამიანის მოქმედების სფეროს, ვინც სიყვარულის თუ სიბრძნის მეოხებით თავისი სწრაფვა უკვე მიმართა უზენაესისაკენ. რაც შეეხება სიყვარულით, ან სიბრძნით გაუსხივოსნებელ არსებობას, იგი განწირულია ბოროტების ილუზორული ბატონობის ბორკილებში იტანჯებოდეს, ხოლო ამ სფეროში მარადიული არა არის რა: „უმსგავსო საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია“. აქ სრული ძალით მოქმედებს „სოფლისთვის“ დადგენილი მსწრაფლწარმავლობისა და ამაოების კანონები.

აი რატომ არის, რომ, როდესაც ვამბობთ — რუსთაველმა ადამიანი მანამდე და შემდეგშიც დიდხანს არნახულ სიმაღლეზე აიყვანაო, ვგულისხმობთ ადამიანობის იდეას და არა უბრალოდ ადამიანს. ტარიელი მთელი კაცობრიობის, მომავლის ადამიანის განსახიერებაა და არა უბრალოდ ინდოეთ მეფე. იგივე ითქმის ავთანდილის, ნესტანის, თინათინის და ფრიდონის შესახებ, ამიტომ არიან ისინი მეშვენი, რომ რეალურმა ვითარებამაც ხაზი გაუსვას მათს გამორჩეულობას, განსაკუთრებულობას, ყოველდღიურზე, ჩვეულებრივზე ამაღლებას.

ამიტომ არის, რომ ამ პერსონაჟთა მიმართ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ნახმარი ეპითეტი — „მზე“ უბრალო სამკაული ან სიტყვის მასალა როდია. აქ მზესთან შედარებასაც ღრმა ფილოსოფიური საფუძველი აქვს, რადგან მზე ღვთაების ხატია და, ამდენად, ადამიანის მზეობა მის ღვთაებრიობას ადასტურებს.

აქ ერთ საგულისხმო გარემოებას მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება. „ვეფხისტყაოსნის“ არქიტექტონიკა მეტად და მეტად რთულია, პოემა რამდენიმე პლანში მოაზრებული ნაწარმოებისა. ოღონდ ნიშანდობლივია, რომ ყოველი პლანი თანაბარი გულმოდგინებით არის დამუშავებული უმცირეს დეტალებამდე. ეს პლანები ერთიმეორეზე კი არ დევს ნიადაგის შრეებივით და ამით განცალკავებულობის შთაბეჭდილებას კი არ ქმნის: ყველა ეს პლანი ურთიერთგამჭოლი და ერთიერთშემავსებელია, მხოლოდ სკრუპულოზური ანალიზის მეოხებით შეიძლება მათი გამოყოფა.



მგონი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ამგვარ ნაწარმოებთა რიცხვი თითებზე თუ ჩამოითვლება, მაგრამ ეს როდია მთავარი. მთავარი ის არის, რომ ამგვარად გააზრებული და აგებული ნაწარმოები მკითხველთა უჩვეულოდ ფართო წრეს გულისხმობს. „ვეფხისტყაოსანი“ თანაბრად სანუკვარი წიგნი იყო ბრძენი კაცისთვისაც და უბრალო მიწის მუშისთვისაც, ამათ შუა მოქცეული სულ სხვადასხვა ფენის, გონებისა და განსწავლის ხარისხის ადამიანთათვისაც. ყოველი მათგანი სწორედ მისთვის შესატყვის აზრს პოულობდა ამ პოემაში.

რაკი ასეა, ისიც უნდა გამოვიძიოთ, რას გვეუბნება „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენ, მკითხველებს, რომელთა რიცხვი მილიონებს მოიცავს. რას გვეუბნება ჩვენ რუსთაველი ამქვეყნიური ცხოვრების თაობაზე?

კვლავ და კვლავ ვიმეორებთ: რუსთაველი გვეუბნება, რომ ამ ქვეყნად უდიდესი ღირებულებაა ადამიანი და მხოლოდ ადამიანი, რომ ადამიანი უნდა იყოს ჰარმონიულად მშვენიერი — მშვენიერი უნდა იყოს მისი სული, მისი სხეული, მისი გონებაც და მისი მოქმედებაც, რომ ადამიანმა ისე უნდა სრულყოს თავისი ნებელობა, რომ მხოლოდ მაღალი მიზნებისაკენ მიმართოს აზრიც და საქმეც.

მაგრამ, რაც მთავარია, რუსთაველი გვეუბნება, რომ ადამიანის განდიდებისათვის არას გვარგებს მჭვრეტელობითი, პასიური ჰუმანიზმი; რომ საჭიროა აქტივობა და აქტივობა, მუდმივი, დაუცხრომელი ქმედება და ამით ბოროტების დათრგუნვა. აი რა აქცევს ადამიანს ადამიანად, აი რა შეამუსვრინებს მას საწუთროში მოქმედ ბნელ ძალებს და რა დაამკვიდრებინებს ისეთ ყოფას, რომ თხა და მგელი ერთად სძოვდეს, — ესე იგი ყოფას, როდესაც განხორციელდება ჰუმანიზმის უმაღლესი და უკეთილშობილესი იდეალები.

ბოროტების ტყვეობაში მყოფი ნესტანის გამოსახსნელად აუცილებელი იყო ჭირთა გაძლება, აუტანელი ტანჯვის მოთმენა, გადაულახავ დაბრკოლებათა გადალახვა და აქტივობის ისეთი უნარის გამოვლინება, რომელიც თითქმის წარმოუდგენელია უბრალო მოკვდავთათვის. ამჯერად დავეხსნათ ნესტანის ქაჯეთში ტყვეობისა და მისი გამოხსნის უღრმეს რელიგიურ-ფილოსოფიურ სიმბოლიკას და ჩვენთვის მისაწვდომ პლანში წავიკითხოთ „ვეფხისტყაოსანი“. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ამ პლანშიც იმასვე გვასწავლის რუსთაველი, რასაც უღრმეს პლანში: ბრძოლა მარადი და შეუპოვარი, აქტივობა, მოქმედება და კიდევ ერთხელ მოქმედება, წარბშეუხრელი შერკინება ბოროტების ალმასაფხვრელად.

აი რატომ იქცა „ვეფხისტყაოსანი“ მეორე სახარებად ქართველთათვის, რატომ არ დააძინა მან ქართველი კაცი შვიდას წელიწადს, არ დააძინა, თავისი თავის რწმენა არ დააკარგვინა. და შეაძლებინა ჩვენს დრომდე, ჩვენს ეპოქამდე მოეტანა თავისი ნატანჯი და ნაგვემი, ლამის სისხლისაგან დაწრეტილი და მაინც მშვენიერი სხეული, თავისი განაწამები, მაგრამ მაინც მოუღლელი, უდრეკი და მშვენიერის მისაღებად კვლავაც მზადმყოფი სული.

და ჩვენ გვახარებს ეს დღე, როდესაც რუსთაველის ქმნილება ქართველ ხალხთან ერთად მთელი კაცობრიობის ორგანული კუთვნილება ხდება. როდესაც ევროპელი თუ ამერიკელი, აზიელი თუ აფრიკელი შეეცდება ამ პოემაში ისე, როგორც ქართველმა კაცმა საუკუნეების განმავლობაში, ამოიკითხოს უფრო მეტი, ვიდრე სარაინდო რომანს, თუნდაც ლამაზად გალექსილს, შეუძლია დაიტიოს, მაშინ ჩვენ კიდევ ერთხელ ვიტყვით ყველას გასაგონად: „რომელთა ასხენან ყურნი სმენად ისმინენ!“ მოისმინეთ „ვეფხისტყაოსნის“ ბრძნული და სამარადჟამო იგავი: ტარიელი — ზოგადი ადამიანის, კაცობრიობის სახე, განწირულებას მისცემია, რადგან ბოროტების დათრგუნვის, ჰეშმარიტების მოკვლევის ყველა იმედი გადაწყვეტილი აქვს. და სწორედ ამ დროს, ამ ყველაზე კრიტიკულ მომენტში მოევლინება ტარიელს მისივე მეორე არსება — გონების განსახიერება ავთანდილი. მოევლინება, რათა დაუბრუნოს მას რწმენა, რათა კვლავ აგრძნობინოს საკუთარი ძალმოსილება და მოაგონოს: „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა!“

აი ეს არის ჩემი უმთავრესი სათქმელი დღეს, ამიტომ წარმოვდექი თქვენს წინაშე ამ მოხსენებით ამ დიდებულ ფორუმზე. ძვირფასო სტუმრებო! დღევანდელ ადამიანს, მსგავსად ტარიელისა, არ აკლია სიბრძნე, არ აკლია ძალმოსილება, ოღონდ ტარიელისავე მსგავსად ბოროტებისა და საშიშროების წინაშე მას დღეს დაკარგული აქვს თავისი ძალების რწმენა, თითქოს აღარც კი სჯერა, რომ შეძლებს ეს სიბრძნე და ძალმოსილება მოიხმაროს ბოროტების დასათრგუნავად.

ჩვენო ძვირფასო სტუმრებო:

— მივაშველოთ ტარიელს ავთანდილი!

— დავუბრუნოთ ადამიანს რწმენა!

შოთა, ერის სიამაყე



გენიალური პოეტური ქმნილება არასოდეს დროით შეზღუდული არ არის, ყოველთვის მისივე თანამედროვე ეპოქის მაჯისცემით გადაეცემა საუკუნეებს. ჰომეროსი და რუსთაველი, დანტე და შექსპირი, ათმოსავლეთის უბრწყინვალესი პოეტები ამ ღირსებითაც გვხიბლავენ. დროის მიხედვით, რუსთაველსა და თანამედროვეობას რვაასი წელი აშორებს ერთმანეთს, მაგრამ არც ერთი საუკუნე ისე ახლოს არ მდგარა პოეტის შემოქმედებასთან, როგორც ჩვენი ეპოქა, რომელმაც „ვეფხისტყაოსნის“ უზადო მხატვრული ოსტატობა, პროგრესული მსოფლმხედველობის ჩათვლით, ორგანულად მოირგო თავისი დიდების მხრებზე. წარსულის კულტურიდან ყოველივე საუკეთესოს ღირსეულმა მემკვიდრემ და განმავითარებელმა — სოციალიზმის ეპოქამ ნამდვილად შეისისხლხორცა რუსთაველის გენია.

მე-12 და მე-13 საუკუნეების მიჯნაზე, როცა ევროპა სქოლასტიკისა და ასკეტიზმის დოგმატიკურ სამოსელშია გახვეული, როცა პატრისტიკა დევნის ყოველგვარ აზრს, ან ერესად აცხადებს, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი სულ სხვა სამყაროდან გვესაუბრება. შუა საუკუნეების მწუხრიდან რუსთაველი ღაღადებს მომავალი რენესანსული ეპოქის მოწინავე იდეებს, და არსებითად მის სახელს უკავშირდება ევროპული მასშტაბით ახალი დროების მოახლოება. არცერთ იმდროინდელ მსოფლიო მწერალს იმდენი არ უთქვამს რენესანსის მოსაახლოებლად, რამდენიც რუსთაველს. მისი გმირები, სხვადასხვა ქვეყნის შვილები, კლერიკალური ხელოვნების მინორული სახეების ნაცვლად სისხლსავსე, მაჟორული სულით გვევლინებიან. რუსთაველი პოეტური კოლოსია და მისი გმირებიც კოლოსალური ძალით არიან გამოძერწილნი. ვის შეეძლო, თუ არა მხატვრული შთაგონების გოლიათს, ასე პოლიფონიური ჟღერადობა მიეცა სამყაროს საკვირველებათათვის, დაეხატა უსასრულო გალერეა მოქმედი პირებისა და თვითეული მათგანისათვის ბუნებრივი სული ჩაედგა. არავის შეეძლო გარდა გენიოსისა, ისე აემაღლებინა ადამიანური ღირსება, როგორც რუსთაველის პალიტრამ შეიძლო, და არავის ისე უნივერსალური მასშტაბი არ მოუნახავს კაცთა გრძნობის გამოსათქმელად, გარდა გენიოსისა, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ უკვდავ ავტორს. რუსთაველის პოემა თავიდან ბოლომდე გენიოსური შთაგონებით არის დაწერილი. მისი სტროფები უსასრულოდ აფარ-ოებენ ადამიანური შემეცნების საზღვრებს. ასეთი ღირმე აზრის წვდენისა მეთორმეტე საუკუნის არცერთ პოეტს არა აქვს მსოფლიო ლიტერატურაში და რუსთაველი მხოლოდ ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენს.

რუსთაველის გმირებს ყოველთვის გამოარჩევთ მოვალეობის უმაღლესი შეგნება და სამშობლოსადმი სიყვარულშიც ისინი ამ შეგნებით გვხიბლავენ. ეს დიდი ღირსება „ვეფხისტყაოსნის“ გმირებისა, პატრიოტულ გრძნობასთან ერთად, ჩვენი თანამედროვეობისათვის სავსებით გასაგები, მისაღები და შთამაგონებელია.

მაგრამ არის მეორე დიდი ასპექტიც: რუსთაველის გმირები ცხოვრების შებრძოლი შვილები არიან; მათ იციან, რომ ადამიანს არაფერი იოლად არ ეძლევა. ცხოვრება, სიყვარული, მეგობრობა, ბედნიერება — ადამიანისაგან მოითხოვს თავდადებასა და მიზნისადმი ერთგულებას, ბრძოლასა და შემარხებას. თუ რა ზომამდეა ეს აზრი მათი სულის შინაგანი მოთხოვნილება, შეიძლება იმ მშვენიერი აფორიზმით დავინახოთ, რომელიც ვარდის მოწყვეტასაც კი უკლოდ ვერ წარმოიდგენს: „არ იცი, ვარდნი უკლოდ არავის მოუკრებიან“. ბუნებასა და ცხოვრებაში ყველაფერი წინააღმდეგობრივია, ეს არის სამყაროს უნივერსალური კანონი, ჰარმონია მხოლოდ ამ საფუძველზეა განხორციელებული, — გვეუბნება რუსთაველის ფილოსოფია, რომელიც ანტიკურ მოაზროვნეთა მსგავსად, ყოფიერებას დაპირისპირებათა გარეშე ვერ წარმოიდგენს.

ყოველივე ეს უდიდესი ღირსებაა რუსთაველის სრულიად ორიგინალური მსოფლმხედველობის, რომელსაც კარგად შეუთვისებია ის ჭეშმარიტება, რომ დაბრკოლებათა გადალახვა სიმამაცესა და გამბედაობას მოითხოვს. ადამიანი მზად უნდა იყოს განსაცდელისათვის და გმირულად იტანდეს მოზღვავებულ უბედურებას. „წესი არის მამაცისა მოჭირვება, ჭირთა თმენა“, — ვკითხულობთ ავთანდილის ცნობილ ანდერძში, და ვგრძნობთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს ვაჟკაცური სული ჩაუდგამთ, თითქოს სურდეთ მკითხველიც ამ სულს აზიარონ. ყველა და ყოველგვარი დაბრკოლების გადალახვა, ჭირთა გაძლება, მამაცობის გამოჩენა — ეს არა მარტო თეორიული დეფინიციებია, არამედ, პრაქტიკული მოქმედების სავალდებულო კრედოც. „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა“, — გვასწავლის რუსთაველის გენია ავთანდილის პირით, რომელიც რაფინირებულად გამოხატავს ქართველი კაცის შინაგან გულისთქმას. მაგრამ ეს არ არის მარტოოდენ გამოხატვა. რუსთაველის ბრძნული აფორიზმი არც მარტოოდენ სენტენციაა. მასში ადეკვატურად ვლინდება ივერიის გმირული შემართება უხსოვარი დროიდან ჩვენს მღელვარე დღეებამდე და ამჟამადაც გმირობისაკენ უხმობს ქართველი ერის სამაგალითო შვილებს. და შეუძლებელია ჩვენს გულს მძლავრად არ ატოკებდეს მორალურად განსპეტაკებული პოეტური სიმფონია, რომელიც ნაძრახი სიცოცხლის დაგმობასთან ერთად სახელოვანი სიკვდილის განდიდებაში პოულობს თავის ერთადერთ ჭეშმარიტ გამართლებას: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“. ამ სიტყვებს ბედგანწირული კაცი რომ ამბობდეს, შეიძლება ისე ძლიერად არ შეეხოს ჩვენს გულთათქმას, მაგრამ როცა ეს ამაღლებული კადენცია ავთანდილის სიმღერაში გვესმის, ავთანდილისა, რომელიც ცხოვრებას ვერ დაემდურება, მაშინ ის კიდევ უფრო მეტი ძალის შემცველი ხდება:

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა
ვიწრო, ვერცა კლდოვანი;
მისგან გასწორდეს ყოველი, სუსტი
და ძალ-გულოვანი;
ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან
მოყმე და მხცოვანი.
სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა
სიკვდილი სახელოვანი“.

ეს ღრმა ფილოსოფიური აფორიზმი, რეალისტური განჭვრეტით რომ არის შთაგონებული, თავიდან ბოლომდე ანტიპატრისტიკული სულისკვეთების შემცველია. გმობს უსახელო, ნაზრახ სიცოცხლეს, მაგრამ ქრისტიანულ მოწამებრიობასთან საერთო არაფერი აქვს, კონფესიული გაგება მასში სულ არა ჩანს. სახელოვან სიკვდილში ადამიანის ღირსეული საერო საქმე და უკვდავება უფრო ვლინდება, ვიდრე თვით სიკვდილი, რომელიც რუსთაველისათვის მხოლოდ მაშინ არის ამაღლებული, როცა დიად საქმეს უკავშირდება. თავისთავად სიკვდილი არარაობაა და ადამიანი მას ყოველთვის გაურბის. ამიტომ გვასწავლის რუსთაველის გენია — „სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა? რა მისჭირდეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსა“.

მაგრამ ამ პრობლემის რუსთაველურ გადაწყვეტას თან ახლავს ოპტიმიზმით აღსავსე იმედიანი ხმა პოეტისა, რომელიც ადამიანთა უდიდეს მეგობრად და მანუგეშებლად გვევლინება. „ვეფხისტყაოსნის“ ფილიგრანულ სტროფებში შემთხვევით არ არის განდიდებული კაცური კაცობა, ადამიანის სიმამაცე, გამძლეობა. გონებრივი შემართება, მზის ნათელი და ბოროტის დათრგუნვა. ამ მხრივაც რუსთაველი დიდი ნუგეში და იმედია ადამიანისა. გაიხსენეთ, როგორ ესაუბრება თავის თავს ფრიდონისაკენ მიმავალი ავთანდილი, როცა მიჯნურის მოშორებით დასევდიანებული საკუთარ გულს მიმართავს:

„აწ გულსა ეტყვის: „ვითამცა გდის
ცრემლი, არ გაგხმობია,
რას გარგებს მოკლვა თავისა? ეშმა
ძმად თორე გძმობია;
მე ვიცი, ჩემსა ხელ-მჭმნელსა თმად
ყორნის ბოლო სთმობია,
მაგრა თუ ჭირსა არ დასთმობ,
ლხინი რა დასათმობია“.

ეს მთელი მორალური კათარზისია, რომელსაც რუსთაველის გენია კაცობრიობას ასწავლის — მოზღვავებულ უბედურებას გამკლავება და დაძლევა უნდა, სიკვდილით გაქცევა თავის დაღწევა არ არის, თუ იგი აბსოლუტურ აუცილებლობას არ წარმოადგენს და სახელოვანს არ უკავშირდება. რუსთაველმა ამავე დროს შესანიშნავად იცის, რომ ყოფიერების დაპირისპირებულობა ბუნებრივად გულისხმობს უსასრულო ცვალებადობას, როგორც ღამეს დღე ცვლის, ხოლო ქარაშხალს მშვენიერი მზიანი დღე: „მზემან შუქნი შემოგვადგნა, ღამე ბნელი გაგვითენდა“. ეს უსასრულო ცვალებადობა გაბატონებული კანონია სამყაროსი, ხოლო „ვეფხისტყაოსნის“ ესთეტიკურ სინამდვილეში მას ეძლევა მხატვრული უკუფენა. ამიტომ რუსთაველი არა ეპიზოდურ, არამედ სავსებით კანონზომიერ სახეს აძლევს დაპირისპირებულ ძალთა ურთიერთშებრასა და ბრძოლას. მაგრამ მისთვის ასევე კანონზომიერია სინათლის გამარჯვება სიბნელეზე, კეთილისა — ბოროტზე, ორმუხლისა — არიმანზე, პოემაში კეთილი ყოველთვის ამარცხებს ბოროტს და არსებობის მეტი ძალა გააჩნია:

„მზე მოგვეახლა, უკუნი ჩვენთვის
აღარა ბნელია,
ბოროტსა სძლია კეთილმან, — არსება
მისი გრძელია“.

მთელი პოემა რუსთაველისა სიკეთეს, მშვენიერებას, სინათლეს, კეთილშობილებას, სისპეტაკეს განადიდებს და ყოველივე ეს ჩვენი თაობისათვის განსაკუთრებით ძვირფასია. ჩვენ გვიკვირს, თუ როგორ შეიძლო პოეტის გენიამ შუა საუკუნეების წყვდიადში ასე პროგრესული შეხედულებანი არა მარტო შეემუშავებინა, ექედაგნა კიდეც. „ვეფხისტყაოსანი“ იმდენად სავსეა მოწინავე ზოგადკაცობრიული აზრებით, რომ ზოგიერთ მკვლევარს შეუძლებლად მიაჩნდა რუსთაველი მე-12 საუკუნის მოღვაწედ გამოეცხადებინა. მაგრამ ისინი ცდებოდნენ, როცა არ ითვალისწინებდნენ, რომ საქმე ჰქონდათ ისეთ გენიოსთან, რომელსაც საუკუნეების განჭვრეტა შეუძლია. ისიც უკვირდათ, თუ როგორ მოახერხა ავტორმა ფეოდალიზმის ყვავილობის ეპოქაში, ავთანდილის ანდერძის სახით, მონების განთავისუფლების იდეა წამოეყენებინა და მხოლოდ მომავალი საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ჰუმანიზმი დაეცვა:

„მაქვს საქონელი ურიცხვი,
ვერვისგან ანაწონები,
მიეც გლახაკთა საჭურჭლე,
ათავისუფლე მონები,
შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი,
არას მჭონები:
მიღვწიან, მომიგონებენ, დამლოცავენ,
მოვეგონები“.

რუსთაველის გმირები მამაცობასთან ერთად დიდ სინაზესაც იჩენენ. სიყვარული მათთვის არა მარტო ნატიფი, ლამაზი, სათნოებით დამშვენებული გრძნობაა, არამედ ამაღლებულიც, სულის გამძლეობასა და მხნეობასთან მჭიდროდ დაკავშირებული. „სიყვარული აღგვამაღლებს, ვით ეჟვანნი ამას ჟღერენ“, — გვეუბნება ავთანდილი და მისი სახით „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი მოქმედი პირები გველაპარაკებიან.

მაგრამ მიჯნურობასთან ერთად, რუსთაველი თავდადებული მეგობრობის უდიდესი ტრუბადურია.

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის
თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის,
სიყვარული გზად და ხიდად“.

რუსთაველის ამ ბრძნულ სიტყვებს თვითეული ჩვენგანი მიიჩნევს, როგორც საკუთარი გულთათქმის პოეტურ კადენციას და „ვეფხისტყაოსნის“ გენიალურ ავტორთან ერთად იმეორებს მეგობრის (მოყვრის) განმადიდებელ ჰიმნებს: „კაცი ბრძენი ვერ გასწორავს მოყვარესა მოყვარულსა“; „არ დავიწყება მოყვრისა არდეს გვიზამს ზიანსა“; „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“.

რუსთაველისათვის ყველაფერი საოცრად რაფინირებულია, სიტყვაც და გრძნობაც, აზრიც და სამყაროც. შესაძლოა სწორედ ამიტომ ათქმევინა გენიოსმა პოეტმა არაბეთის მეფეს ბრძნული სიტყვები: „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?!“ ეს შექსპირისებური მოსმაა კალმისა. რაშიაც ბრწყინვალედ ცხადდება პოეტის მხატვრული პრინციპიც: საგანი თუ მოვლენა თავისი არსების სრული ადეკვატური გამჟღავნება უნდა იყოს ისე, რომ სხვა არაფერი ერთვოდეს. ამის შემდეგ რუსთაველს ბუნებრივად შეეძლო იმ ფილოსოფიური დეფინიციის აღიარებამდე მისულიყო, რომელიც როსტევანისადმი ვაზირთა პასუხში შემდეგი აფორიზმის სახით არის წარმოდგენილი: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“. საეროდ, რუსთაველის ბრძნული აფორიზმები, საოცარ პოეტურ სილამაზესთან ერთად, უაღრესად დიდი შემეცნებითი მნიშვნელობით გვხიბლავენ. დაკვირვით თვითეულ მათგანს, დღემდე რომ არ დაუკარგავთ იდეურ-მხატვრული ჟღერადობა: „მას მკურნალმა რაგვარ კურნოს, თუ არ უთხრას, რაცა სჭირდეს?!“, ან კიდევ: „მკურნალმანცა ვერა კურნოს თავისისა სისხლის მხვრეტსა“. რა ღრმა აზრებია ჩაქსოვილი აგრეთვე შემდეგ რუსთველურ აფორიზმებში: „კოკასა შიგან რაცა

საუოცლის ხმა

№ 16-17, სექტემბერი, 1966 წ.

დგას, იგივე წარმოსდინდების“; „კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია!“; „თუ ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია“; „ავსა კარგად ვერ-ვინ შეაცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს“; „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“.

როგორც ვხედავთ, თვითეული აფორიზმი აღსავსეა ცხოვრებისეული სიბრძნით და გამთბარია დიდი პოეტური ამოსუნთქვით. ცხოვრებისეული სიბრძნით არის აგრეთვე მთაგონებული რუსთაველის უაღრესად პოპულარული სენტენციები: „იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია“; „ესე ასეთი სოფელი, არვისგან მისანდობელი, წამია კაცთა თვალისა და წამწამისა მსწრობელი“. ამ სიტყვებთან ერთად, რუსთაველს ეკუთვნის საწუთროს ის კლასიკური დახასიათება, რომელიც ყოველმა ქართველმა ზეპირად იცის:

„ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას
გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!
ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა
ჩემებრ ტირსა!
სად წაიყვან სადაურსა, სად
აღუფხვრი სადით ძირსა?!
მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა,
შენგან განაწირსა“.

რა ვუყოთ, რომ აქ უზენაესია მოხსენებული; ისტორიულად შუა საუკუნეების კაცს არ შეეძლო მისთვის გვერდი აექცია, ისედან ცოტა როდი თქვა ანტიკონფესიონალი ქრისტიანობის სახელით, რითაც კლერიკალების რისხვა დაიმსახურა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ უზენაესი ხშირად ბუნების ადგილზეა, ხოლო ბუნება ცვლის უზენაესს, რამაც ზოგიერთს საფუძველი მისცა რუსთაველის მსოფლმხედველობა პანთეიზმად მიეჩნია, მაშინ გასაგები იქნება, რა ღირებულების შემცველია გენიოსი პოეტის იმედიანი ხმა. რუსთაველისათვის ადამიანი იმდენად დიდი ფენომენია, რომ იგი განწირულად არ მიაჩნია. განწირული შეიძლება მხოლოდ უმნიშვნელო იყოს, ხოლო დიდი და ღირებული ყოველთვის უცდავია.

რუსთაველი განადიდებს ნამდვილად ღირებულსა და ფასეულს, წინ წამოწევს მარადიულს, უკვდავსა და მშვენიერს. მისთვის ესთეტიკურ კატეგორიაში ექცევა ჭეშმარიტი აზრიც და თვით გონება, რომელსაც მხოლოდ ღირსეულ კაცში ხედავს. მან ისიც კარგად იცის, რომ „გონიერსა მწყრთელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს“. რამდენი სიბრძნეა აქ, რამდენი ღრმა აზრი! შეიძლება მთელი ტრაქტატები დაიწეროს რუსთაველის ბრძნულ აფორიზმებზე. და არც ერთ პოეტს, ერთ ნაწარმოებში, იმდენი ღრმა აზრები არ ჩაუტევია, რამდენიც რუსთაველს „ვეფხისტყაოსანში“.

ვერ ნახავთ რუსთაველის ვერც ერთ ფრთოსან გამოთქმას, ხალხის გულს რომ არ მოხვედროდეს და იქ სამუდამოდ ბინა არ დაედოს. არიან გენიოსი პოეტები, ძველნიც და ახალნიც, რომელთაც უსაზღვრო პატივისცემით იხსენიებენ შთამომავალნი, გუნდრუკს უმეფენ, განადიდებენ, მათს სიდიადეში ეჭვი არ ეპარებათ, მაგრამ ყველაფერიც აქ მთავრდება. ისინი დგანან, როგორც გაუქმებული სრა-სასახლეები, რომლებიც მარტოოდენ წარსულის დიდებით ბრწყინავენ. დგანან, როგორც კერპები და ძეგლები, სრულიად უმოძრაონი. იშვიათად ან სულ არ კითხულობენ მათი დიდების ფურცლებს. მაგრამ რუსთაველი ასეთი გენიოსი არ არის. მისი მხატვრული მემკვიდრეობა მუდამ ცოცხალი, მუდამ მოქმედი, მუდამ ხალხთან დაკავშირებული იყო; „ვეფხისტყაოსანი“ ყოველთვის რჩებოდა თანამედროვეობის წიგნად საუკუნეების მანძილზე, დღესაც ასეთი სახით გვევლინება, და ჩვენი თაობაც უდიდესი სიყვარულით ეტანება რუსთაველის გენიალურ სტროფებს.

რუსთაველი დიდია, როგორც თავისი სამშობლოს უზადო მხატვარი. მას უყვარს მშობლიური ენა, მშობლიური ქვეყნის ულამაზესი ლანდშაფტები, განუმეორებელი პანორამები, ცადატყორცნილი მთები, მიუვალი ჭიუხები, მღელვარე ზღვა და სწრაფმავალი მდინარეები. საქართველოს მთათა გრეხილზე განლაგებული ციხე-კოშკები ისე გადასულან „ვეფხისტყაოსნის“ გრძნეულ ფურცლებზე, თითქოს პოეტი დღეს ხედავდეს თმოგვის ციხე-კოშკს, ვარძიის გამოქვაბულებს, მტკვრისა და არაგვის ხეობებს, შავი ზღვის ღელვასა და ასპინძის მიდამოებს. რუსთაველი ბრწყინვალე ფერმწერალია, გენიოსი მხატვარი-მარინისტი, მხატვარი-პეიზაჟისტი, დაკვირდით მის პოეტურ აკვარელს, როგორ სუნთქავს საქართველოს ნაზი კლიმატითა და ამწვანებული ბუნებით, რომელსაც სიყვარულის ფეთქვა კვირტებად გაუშლია:

„მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით
ამოსლვა მწვანისა,
ვარდის ფურცლობის ნიშანი,
დრო მათის პაემანისა“.

მაგრამ საქართველოს ბუმბერაზი მთების წიაღში, საკვირველ სილამაზესთან ერთად, ბუდობს დიდი მრისხანება, რომელიც უეცრად იფეთქებს ხოლმე:

„აგრგვინდა ცა და ღრუბელნი
ცროდეს ბროლისა ცვარითა:
ვარდთა აკოცა ბაგითა, მითვე
ვარდისა დარითა“.

სურათი კიდევ უფრო გამძაფრებულია, როცა პოეტი აღწერს მთათა და ხევთა მრისხანებას:

„რა ზედა წვიმდეს ღრუბელნი და
მთათა ატყდეს ღვარია,
მოვა და ხევთა მოგრაგნის, ისმის
ზათქი და ზარია,
მაგრა რა ზღვათა შეერთვის,
მაშინ ეგრეცა წყნარია“.

ახლა დააკვირდით უმშვენიერეს სურათებს, რომლებსაც რუსთაველის პალიტრა გენიალური ყალმით გვიხატავს:

ზამთარი ვარდთა გაახმობს,
ფურცელნი ჩამოსცვივიან,
ზაფხულის მზისა სიახლე დასწვავს,
გვალვასა ჩივიან,
მაგრა მას ზედა ბულბულნი
ტურფასა ხმასა ყივიან, —
სიცხე სწვავს, ყინვა დააზრობს,
წყლულნი ორჯელვე სტკივიან“.

რუსთაველი ყოველთვის ადამიანის განცდასთან აერთებს ბუნების სურათებს, როგორც გვიან რომანტიზმმა, ხოლო კიდევ უფრო მოგვიანებით ვაჟა-ფშაველამ ბუნება და ადამიანის განცდა ორგანულ ერთიანობაში წარმოგვიდგინა.

რუსთაველი არა მარტო დიდი ოსტატი-მხატვარია, არამედ ხელოვნების ასევე დიდი თეორეტიკოსიც, წინააღმდეგ პლატონიზმისა, „ვეფხისტყაოსანი“ პოეზიას აღიარებს ფილოსოფიური აზროვნების დარგად და ჭეშმარიტების შეცნობის ფუნქციასაც აკისრებს. ამით რუსთაველი უარყოფს ხელოვნების უკიდურესად იდეალისტურ-მისტიკურ გაგებას, რომელიც ასე დამახასიათებელი იყო პლატონიზმისა და ნეოპლატონიზმისათვის. მისი პოემა დაწერილია მხატვრული შემოქმედების ყველაზე ოპტიმალურ კანონთა ღრმა ცოდნით. პოეტი ნამდვილად უნივერსალური მცოდნე იყო ხელოვნების თეორიისა. თვით პოემის ანალიზით სავსებით ცხადი ხდება, რომ არ არსებობს მე-13 საუკუნემდე ხელოვნების რომელიმე ღირებული კანონი, რომელსაც რუსთაველი არ იყენებდეს. მისი პოემა ამ მხრივ შეიძლებოდა მთელ ესთეტიკურ სისტემადაც მიგვეჩნია. „ვეფხისტყაოსნის“ საოცრად მდიდარი პოეტიკა ყოველთვის აოცებდა საუკუნეების მანძილზე ქართველ პოეტთა თაობებს და ეს განცვიფრება დღემდე გრძელდება. ამიტომ მიაჩნდათ რუსთაველი პოეტური მეტყველების ნიმუშად და მიუწვდომელ მწვერვალად, განუმეორებელ ბარდად და ოქროპირად, რომელსაც „სიბრძნის ზღვასთან“ ერთად საკვირველი სილამაზენიც შეუძენია.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ რუსთაველი ლიტერატურული მეტყველებითაც ჩვენი თანამედროვეა. რამდენიმე არქაული სიტყვის გარდა, მთელი პოემა თანამედროვე სალიტერატურო ენით დაწერილი გვეგონება, თითქოს პოეტმა წინასწარ განსაზღვრა მშობლიური მწერლობის განვითარება. შეადარეთ მისი ენა მომდევნო თაობის მწერლებს მე-19 საუკუნემდე და ერთხელ კიდევ იგრძნობთ, თუ რამდენად განმარტოებით დგას „ვეფხისტყაოსანი“ ქართული სიტყვაკაზმული ხელოვნების ისტორიაში. ამიტომაც იყო საუკუნეების მანძილზე რუსთაველის გენია ქართული პოეტური მეზის ტრიუმფატორი.

მაგრამ რუსთაველი არ არის მარტოოდენ ქართველ ხელოვანთა, ქართველი მწერლების აღმზრდელი-მასწავლებელი. „ვეფხისტყაოსანმა“ უდიდესი როლი შეასრულა თავისი მშობელი ერის მრავალჭირნახულ ისტორიაში, რუსთაველმა ისევე აღზარდა ქართველი ხალხი მორალურად და ესთეტიკურად, როგორც ჰომეროსმა უძველესი ელადელები.

რუსთაველი აგრეთვე დიდია, როგორც მეცნიერი-მოაზროვნე. „ვეფხისტყაოსნის“ თეორიული ანალიზით სავსებით ცხადი ხდება, რომ პოემის ავტორი არა მარტო თავისი დროის მეცნიერებათა დონეზე დგას, არამედ არაერთ საკითხში წინ უსწრებს და გენიალურ პროგნოზებს იძლევა, პოეტი ძალიან ღრმად იცნობს ანტიკურ, ინდურ, არაბულ ფილოსოფიასა და ლიტერატურას, იცის მედიცინა, მსოფლიო გეოგრაფია, ზღვაოსნობა, ეთნოგრაფია, — ძნელია ჩამოვთვალოთ ყველაფერი, რის ცოდნასაც რუსთაველი თავის უკვდავ პოემაში ამჟღავნებს. ცხოვრებისა და მეცნიერების სანიმუშო, ენციკლოპედიური ცოდნით რუსთაველი თანამედროვე საბჭოთა მწერლობის მისაბაძ მაგალითს წარმოადგენს, რომ აღარაფერი ვთქვათ ესთეტიკისა და პოეტიკის დარგში ფართო ერუდიციაზე. გენიალური პოეტი მართლაც უნივერსალური ერუდიტი ჩანს თავის ნაწარმოებში, და შემთხვევითი არ არის, რომ თანამედროვე თითქმის ყველა მეცნიერება ცდილობს მისთვის დამახასიათებელი კუთხით შეისწავლოს „ვეფხისტყაოსანი“. რუსთაველი მართლაც „ცოდნის ზღვაა“, როგორც მას ძველი პოეტები უწოდებდნენ. ასეთი დიდება არც ერთ ქართველ მწერალს არასოდეს არ დაუმსახურებია.

ოდითვე ცნობილი იყო, რომ ყოველი



მოღვაწე ბუნებრივი პროდუქტია იმ ეპოქისა, რომელშიც მას ცხოვრება უხდება. გენიოსებიც არ შეადგენენ გამონაკლისს. როგორც გენიოსი, რუსთაველი პირველყოვლისა თავისი ეპოქის შვილია, მაგრამ ასევე პირველყოვლისა ჩვენი თანამედროვეა.

მაგრამ გენიოსის შემოქმედება არასოდეს მარტოოდენ თავის ერს არ განეკუთვნება, მთელ კაცობრიობას უნათებს ხოლმე გზას. და როცა „ვეფხისტყაოსანს“ ვუკვირდებით, ჩვენ აშკარად ვგრძნობთ: რუსთაველის პოეტური შემოქმედება ეროვნულიც არის და ზოგადკაცობრიულიც, მსგავსად მსოფლიო კონგენიალური ოსტატებისა. ყოველივე ეს იყო მიზეზი, რომ საუკუნეების მანძილზე „ვეფხისტყაოსანი“ თაობათა ფიქრებისა და აზრების შთამაგონებელ საგანს წარმოადგენდა. და არცერთ პოეტურ თხზულებას ქართულ ლიტერატურაში იმდენი პატივისმცემელი არა ჰყოლია, რამდენიც რუსთაველის პოემას. „ვეფხისტყაოსანი“ გადაიქცა მთელი ქართველი ერის პოეტურ გვირგვინად, მიუწვდომელ სიმაღლედ, რომლის ნათელ მწვერვალებს ვერავინ მისწვდა; იგი დარჩა ტოლუპოვარ შედევრად და განუმეორებელ მხატვრულ ქმნილებად. ეს ქმნილება, რომელსაც რვაასი წლის ხანდაზმულობამაც ვერაფერი დააკლო, ჩვენი თაობისათვის სავსებით გასაგები სულისკვეთებით ჟღერს, და მის ავტორს — გენიოს რუსთაველს, უდიდეს მსოფლიო მწერალს, უკვდავების გვირგვინთან ერთად, თანამედროვეობის შარავანდედსაც ადგამს. რუსთაველი გვევლინება ჩვენს მებრძოლ თანამედროვედ, და გმირული თანამედროვეობაც მას დაუსრულებელ ქებათა-ქებას უმღერის.

ეს უკვდავი სიმღერა საუკუნეებს გადასწვდება!

პირველი ხილვა

ელიზბარ ზედგინიძე

მოთხრობა

ეკლესიის სამრეკლოდან ზარების რეკვა მოისმოდა. მისი ხმები თითქოს სწმენდდა და აკრისტალებდა სივრცეს, ადამიანს კი გულში სწვდებოდა და იდუმალ სიხარულს ჰგვრიდა.

— ჩქარა, დედა, ჩქარა! — ზარების ხმებით შეშფოთებული ბავშვი შესთხოვდა მშობელს:

— აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია!

დედის პასუხმა ბავშვი ჩააფიქრა:

— სიცოცხლე? — შეეკითხა.

— სიცოცხლე. — მიუგო დედამ.

ბავშვი წამით დამშვიდდა. ის კარგად იცნობს ამ ზარის ხმებს. სწორედ ამ ხმების მოწოდებით ყოველ დილა დადის ეკლესიაში და სწავლობს სამღვთო სჯულს, ენას, მეტყველებას. მაგრამ ახლა ეს ხმები სწავლისაკენ არ მოუწოდებენ. დღეს საზეიმოდ გუგუნებს იგი.

დედამ ბავშვს ჯერ ცისფერი ატლასის შარვალი მიაწოდა, ჩაიცვიო, მერე ნარინჯისფერი მაღალყელიანი წუღები. ბავშვმა შარვლის ტოტები წუღებში ჩაიკეცა და წელში გასწორდა. ახლა ოქროსფერი ღილკილოებით დამშვენებული იმავე ფერის ახალუხი ჩაიცვა, ზედ შინდისფერი ხავერდის ჯუბა გადაიცვა. წელზე შემოირტყა სპილოს ძვლის ტარიანი მოზარნიშებული ისეთი პატარა ხანჯალი, რომ სათამაშოს უფრო ჰგავდა, ვიდრე იარაღს. მამის სახსოვარი, მამის ნაქონი თავის ბავშვობაში, რაც ძალიან უყვარდა და მხოლოდ განსაკუთრებულ დღეებში იკეთებდა. შავგვრემან ბიჭს ძალზე დაშვენებდა შინდისა და ცისფერები. აგვისტოს მიწურული იყო. ქუდს არ იხურავდა. მუქი წაბლისფერი ტალღოვანი თმები და შავი კრიალა თვალები ეშხს ჰმატებდნენ მას. ოდნავ შეერთებული წარბები ლამაზად ხატავდნენ მის ბავშვურ, მაგრამ მაღალ შუბლს.

დედამ შეხედა თავიდან ფეხებამდე უზადოდ გამოწყობილ შვილს, მოეწონა და სიყვარულით გული აუჩქროლდა. შვილმა შესცინა.

— ჩემო პირ-მზევ? — წაიჩურჩულა დედამ და გულში ჩაიკრა. სიხარულის ცრემლი მოადგა თვალზე, მაგრამ ვიდრე ეს ცრემლი მალულად არ მოიწმინდა და არ შეიშრო, შვილი მკერდიდან არ მოიცილა, არ შემამჩნიოსო.

ამ დღისათვის ია მთელი კვირა ემზადებოდა: საკუთარი ხელით შეუკერა შვილს ახალი ტანსაცმელი, არავიზე ნაკლებად არ იყოსო გამოწყობილი, როდესაც მათ სოფელზე მეფე აივლიდა ოჯახით და ამალით. მეფე ვარძიაში მიდიოდა ღვთისმშობლის მძძინების ტაძრის სანახავად. დავმთავრებინათ იგი და ახლა უნდა ეკურთხა სრულიად საქართველოს მაღალგონიერსა და დიდად კეთილშობილ კათალიკოსს ნიკოლოზ გულაბერიძე, რომელიც უკვე ვარძიაში იმყოფებოდა და მეფის მობრძანებას ელოდა.

ტაძრისკარიდან ვარძიამდე მოსახლე სოფლები ამ ღირსშესანიშნავ დღეს დიდი სულმოუთქმელობით ელოდნენ. ხალხს ეხატრებოდა თავისი დიდებული მეფის ხახვა, თუნდაც შორიდან, თუნდაც ცხოლოდ თვალი მოეკრათ მისთვის. რუსთაველიც სამზადისში იყო. ისიც დიდი საქარავნო გზის პირად სახლობდა.

— ახლა კი წადი, შვილო, ვინძლო გონივრულად მოიქცე! — უთხრა იამ შვილს და დარბაზის კარი თვითონ გაუღო.

ბავშვი მკვირცხლად შებრუნდა, ეზოში ჩაირბინა და ცალავნის კაოსაკენ გაეშურა, რომელიც საზეიმო დღის გამო ღიად იყო.

უჩვეულო სანახაობა წარმოუდგა თვალწინ, მთელი სოფელი გარეთ გამოფენილიყო. ისხდნენ ბანებზე, მახლობელ ფერდობებზე, ბაღვენახების დარიჯებზე. ბავშვები ხეხილის ტოტებზე შემომსხდარიყვნენ: ყველგან საზეიმო ჟრიამული იდგა. ბავშვი წუთით შეკრთა კიდეც, ვაი-თუ დამაგვიანდაო, იქნებ კიდევაც აიარაო მეფემ, მაგრამ მაშინვე გული დაიმშვიდა. მოლოდინი შეატყო ხალხს. არავინ იცოდა, რა დროს ამოვიდოდა მეფე, დღისით თუ ბინდისას, მაგრამ ხალხი მაინც არ იშლებოდა. მოთმინებით გასცქეროდა ახალციხიდან მომავალ გზას.

ბავშვმა ბაღში შეირბინა და ხეხილზე შესხუპებულ ბიჭებს შეავლო თვალი. ვარძელს ეძებდა: ვერ ნახა. შარაგზისაკენ გაიქცა. შემაღლებულ ბორცვებზე ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ ქალ-ვაჟნი.

გოგონებს ყვავილები დაეწყოთ და გვირგვინებად დაეხურაო თავზე. ხელში ერთმანეთში შერეული გვირილები, ნარგიზები და შროშნები კონა-კონად ეჭირათ. მოლოდინში ჯგუფი მღეროდა, ჯგუფი ცქვავდა, ჯგუფი შაირობდა. მოზრდილ ბიჭებს ლაზტი გაეჩაღებინათ.

— შოთა, შოთა — შესძახეს ტოლებმა, როდესაც ახალ ჯუბაში გამოწყობილი მგომარი დაინახეს, — აქ მოდი, შემოგვშველე!

დღეს შოთას ლაზტის თამაშის დარდი არ ჰქონდა. არც ცეკვისა, არც სიმღერისა, აღარც შაირობა იზიდავდა, ყოველთვის ხალისიანად რომ ჩაჯდებოდა ხოლმე ტოლებში და ნათქვამს არავის არ შეარჩენდა. იმიტომ შეარქვეს პატარა მოლექსე და მოშაირე, რომ მისი დამმარცხებელი არავინ იყო არც რუსთაველში, არც პატრაშენში, არც ღობიეთში და არც მწყემსებში, რომელნიც დღედაღამ სალამურსა და ფანდურზე იყვნენ ჩაკრულნი და მოწყენის წუთებში ხაირობით ირთობდნენ თავს.

— შოთაა! — ახლა გოგონებმა შესძახეს. თავისთან იწვევდნენ: ჰპირდებოდნენ ყვავილებს, ვაშლსა და ატამს, ოღონდ ერთი შაირი ეთქვა მათთვის.

შოთამ მიხედა მათ, გაუღიმა კიდეც, ხელიც დაუქნია, მაგრამ არც იმათკენ გადაუხვევია...

გოგონებმა ყვავილების თაიგულები ესროლეს. ეს თაიგულები ჰაერში იშლებოდა. იები, ენძელები, შროშები, თეთრ-ყვითელი გვირილები ფერად ფიფქებივით ცვივოდა. შოთას წინ შროშანი დავარდა: კინაღამ ფეხი დაადგა. შეჩერდა, დაიხარა და აიღო. დაყნოსა. ყვავილის სიფაქიზემ და სათუთმა სურნელმა მოხიბლა. შროშანი ხელში შეიტოვა და ისევ გაიქცა, მეგობარი წინ ეგულებოდა. აცოდა მისი დაუდეგარი ხასიათი, მისი ცნობისმოყვარეობა: ალბათ, ეწადა პირველი შეჰგებებოდა დიდ გვირგვინოსანს.

ამ დროს შორიდან ბუკის ხმა მოესმა. შეჩერდა და სმენად გადაიქცა.

სწრაფმსრბოლები მეფის მობრძანებას ამცნობდნენ ხალხს. წინ არავინ გადაჰღობებოდა, — მგზავრები, ურმები, საქონელი.

აგერ, შორს, ცხენოსნები გამოჩნდნენ. ისინი გამალებით მოაჭენებდნენ თავიანთ ბედაურებს. შოთამ წუთითაც არ შეაყოვნა. გზიდან გადადგა და მაღლობზე აირბინა. მწვანით მოსილ ბორცვზე გაჩერდა. სირბილისაგან სახე აეფაკლა. თვალები სიხარულის ნაპერწკლებით გაუბრწყინდა. მისი მზერა პირქუშმა მხედრებმა მოიტაცეს, რომლებმაც წინ ჩაუქროლეს და მტვრის კორიანტელი დააყენეს. აი, მხედრების ახალი წყება წამოვიდა. ესენი დინჯად მოდიოდნენ. აბჯარასხმულნი რკინის პერანგებში და ასეთსავე ჩაფხუტებში გამოწყობილნი, მშვილდებით და ხმალ-აბარჭებით შეიარაღებულნი. ულვაშებგადაგრეხილნი მრისხანედ გამოიყურებოდნენ. ბედაურებმა შოთას თვალი მოსტაცეს.

აგერ მეფე გიორგი. ქვეყნის მამა. მშვიდი და დარბაისელი.

შოთას თვალი აუბრწყდა. ემოსა მოჭრილობილი და მომარგალიტებული საკრამანგი. ოდნავ შეევრცხლილი წვერულვაში, მსხვილი წარბებით დაბურული თვალები მკაცრსა და დიდებულობის იერს აძლევდა მის გამომხედვას.

მეფემ აიარა.

შოთას ეწადა მეფისათვის თვალი გაეყოლებინა, მაგრამ უცებ მოჯადოებულნი მისი თვალები.


უკან მოჰყვებოდა ასული. ძე არ ჰყავდა მეფეს და ასული, მსგავსად ვიეთისა, თეთრ არაბულ ცხენზე ტახტრევანის მაგვარ უნაგირზე იყო ამხედრებული.

ის იღიმებოდა. ორმხრივ ჩამოშვებული კულულები, მოშვილდული წარბები, ნათელი შუბლი. ეხურა მარგალიტებით მოჭედილი ჯიღის მსგავსი ვარდისფერი ქუდი. ეს იყო პატარა გოგონა და მოჩანდა როგორც სიხარული, რ.უგორც შუქი მზიდან გადმოვარდნილი, როგორც არნახული ფერია ლაქვარდი ცისა.

შოთას თვალი გაუშტერდა. მზერა ვერ მოსწყვიტა. ფიქრად გაივლო: თამარი... თამარი... მეფის ასული!..

შოთამ უცებ მარჯვენა მკლავი გამართა, სურდა ესროლა ფიფქივით თეთრი და მსუბუქი ყვავილი, რომელიც ხელში ეჭირა, მაგრამ უმალვე გადაიფიქრა. „უნაზესი ყვავილითაც ვაწყენინებო ლაქვარდების ფერიას!“ — გაივლო გულში და შროშანით ხელგაწვდილი ქანდაკებასავით გაინაბა.

გოგონამ შენიშნა ეს ქანდაკება!





სურათზე: მწერლები, მარცხნიდან — იოჰან ვიმე (დანია), იოსებ ნონეშვილი, ტე ლან-ვიენი (ვიეტნამი) ფილიპ ბონოსკი (ამერიკა).

შენი ლექსი ყველგან გაჰქუხს

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც მეგობრობასა და სიყვარულს უმღერის, მახლობელი და ძვირფასი გახდა მსოფლიოს მრავალი ეროვნების ადამიანებისათვის. მსოფლიო პოეზიის ამ მარგალიტს დღეს 36 ეროვნება კითხულობს მშობლიურ ენაზე. „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნილია ჩვენი ქვეყნის მოძმე ერებისა და უცხო ენებზე — ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ, ესპანურ, იაპონურ, რუმინულ, უნგრულ, ჩეხურ, მონღოლურ, ლათინურ, ჩინურ ენაზე.

პირველად „ვეფხისტყაოსანი“ რუსებმა ამეტყველეს თავიანთ ენაზე. მთარგმნელი იყო ნაკლებად ცნობილი რუსი პოეტი იპოლიტე ბარტდინსკი.

უცხო ენათა შორის „ვეფხისტყაოსანი“ პირველად ფრანგულად ითარგმნა. მთარგმნელი დიდი მეცნიერი ქართველოლოგი მარი ბროსე იყო, რომელსაც „ვეფხისტყაოსნის“ სიდიადემ შემდეგი სიტყვები ათქმევინა: „წიგნი ესე უებრო და უამხანაგოა და ევროპაშიც მისი უმჯობესი მრავალი არ მოიპოვება“.

გასული საუკუნის შუა წლებში „ვეფხისტყაოსანი“ პოლონურ ენაზედაც ითარგმნა. მთარგმნელს — კაზიმირ ლაფინსკის ოდესღაც ინუინრად უმუშავია კავკასიაში. „ვეფხისტყაოსნისადმი“ ინტერესი მას ქართველმა მწერალმა გიორგი ერისთავმა გაუღვიძა, რომელიც იმხანად პოლონეთში იყო გადასახლებული. თავისი თარგმანის წინასიტყვაობაში ლაფინსკი წერდა:

„ეს არის პირველი ბიჭი, რომელიც გვამსახურებს დასამეგობრებლად პრომეთეის სამშობლოს ქვეყნისა... ახე, გთარგმნი რა პოლონურ ენაზე, ჩემო „ვეფხისტყაოსანო“, ჩემო ნუგეშისმცემელო, გაპოლონებულო, გამოდი ქვეყანაზე! მე დიდად მსურს, რომდენიმე გული მგზნებარე პოლონელისა შეარეული და შეაყვარო საქართველო“.

წარსული საუკუნის დასასრულს პოემის გერმანულ ენაზე თარგმნას დიდი მონდომებითა და სიყვარულით მოეკიდა ილია ჭავჭავაძის დიდი მეგობარი— გერმანელი არტურ ლაისტი.

ინგლისურ ენაზე „ვეფხისტყაოსანი“ ახალგაზრდა ქალმა — მარჯორი სკოტ უორდროპმა თარგმნა. ძმასთან — ოლივერთან ერთად, იგი რამდენჯერმე ეხეტუმრა „საქართველოს, დაათვალიერა მისი ყოველი კუთხე და ისტორიული ძეგლები, შეისწავლა ქართული ენა და ინგლისში ქართულ ხელნაწერთა და გამოცემათა ირვიათი კოლექციაც შექმნა. ჩვენს ქვეყანას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ინგლისელ სტუმრებზე. „საქართველო ჩემი მეორე სამშობლოა“, ამბობდა მარჯორი. „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას უორდროპმა 18 წელი შეალია. მისი უდროო გარდაცვალების გამო მადლიერი ქართველი ხალხი იუწყებოდა: „საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, კეთილშობილო და დიდებუნებოვანი ადამიანო... ღვაწლი შენი დიდი იყო ჩვენს წინაშე და მადლობელი ქართველი ერიც ეცდება დაუვიწყარ ჰყოს შენი სახელი, სანამ საქართველო იარსებებს“.

„ვეფხისტყაოსნის“ ფორმის უზადობა და აზრის სიდიადე იზიდავდა ყველას, მაგრამ კარგი თარგმანის შექმნა ისეთივე ძნელი იყო, როგორც მზისთვის თვალის გასწორება.

1888 წელს საქართველოში სტუმრად ჩამოსულ იმპერატორ ალექსანდრესა და მის მეუღლეს ქართველმა მოღვაწეებმა — იონა მეუნარგიამ და გიორგი ქართველიშვილმა — ჰდიდრუნლად გაფორმებული „ვეფხისტყაოსანი“ მიართვეს ძღვნად: ამასთან სთხოვეს რუსთაველის პოემის თარგმანის შესრულებისათვის საჭირო სახსრები გამოეყო. მაგრამ თხოვნა თხოვნადვე დარჩა.

„ვეფხისტყაოსნის“ მთელი ტექსტის პოეტური თარგმანი რუსულ ენაზე მოგვიანებით შეიქმნა. იგი 1917 წლისათვის შეასრულა ცნობილმა რუსმა პოეტმა კონსტანტინე ბალმონტმა. მშვენიერი ლექსებისათვის ბალმონტს „პოეტთა მეფეს“ უწოდებდნენ. იგი ბევრს მოგზაურობდა. იცოდა მრავალი უცხო ენა. საქართველოში ის ჯერ კიდევ არ იყო ნამყოფი, როცა შოთა რუსთაველის შემოქმედებით დაინტერესდა. ოკეანეზე მოგზაურობის დროს ხომალდზე შეხვდა ინგლისელ დიპლომატს ოლივერ უორდროპს, რომელსაც თან ჰქონდა მისი დის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანი.

გენიალურმა პოემამ მოხიბლა ბალმონტი და გადაწყვეტინა ენახა რუსთაველის სამშობლო, გასცნობოდა ქართველ ხალხს და რუსულ ენაზე ეთარგმნა დიდებული „ვეფხისტყაოსანი“.


ბალმონტის თარგმანი იყო პირველი სრული პოეტური თარგმანი „ვეფხისტყაოსნისა“. პოეტს დიდი შრომა დასჭირდა მის შესასრულებლად. მაგრამ როგორც ბალმონტი წერდა ერთ წერილში, „საქართველო იმსახურებს ასეთ შრომას და მე ვეახლები მას რუსთაველის სიმღერებისაგან დაწნული გვირგვინით“.

რუსთაველის 1937 წლის საიუბილეო პერიოდში შეიქმნა კიდევ რამდენიმე უფრო ღირსეული და ზუსტი თარგმანი. ეს თარგმანები შეასრულეს პროფესორმა შალვა ნუცუბიძემ, გიორგი ცაგარელმა, პანტელეიმონ პეტრენკომ და ნიკოლოზ ზაბოლოცკიმ.


ხელახლა ითარგმნა პოემა უცხო ენებზედაც. შოთას საიუბილეო დღესასწაულისათვის გამოვიდა ახალი თარგმანები ინგლისურ, ფრანგულ, სომხურ და სხვა ენებზე. „ვეფხისტყაოსნის“ საუკეთესო ფრანგული თარგმანისათვის ფრანგულმა აკადემიამ მთარგმნელ სერგი წულაძეს ლანგლუას სახელობის პრემია მიანიჭა.

იზრდება რუსთაველის სახელი ყველა განათლებული ადამიანის გულში. მრავალ საუკუნეგამოვლილი მისი შემოქმედება დღეს უფრო მეტი შუქით ბრწყინავს.

ლია ანდღულაძე.







წერილი ავსტრალიიდან

დიდად პატივცემულ გაზეთ „სამშობლოს ხმის“ სარედაქციო კოლეგიას

ნება მომეცით მოგილოცოთ ჩვენი დიდი მფოსნის რუსთაველის იუბილე და გისურვოთ დიდი მიღწევები თქვენ ფრიად მნიშვნელოვან მუშაობაში.

ვესალმები ძვირფას სამშობლოს, ქართველ ერს და მისი უზენაესი სურვილების გამომხატველ მთავრობას ამ დიადი დღესასწაულის გამო. იმედი მაქვს, რომ დღესასწაული ღირსეულად ჩატარდება, რომ მას აღფრთოვანებით შეხვდება ჩვენი სამშობლო.

მჯერა, რომ უკვდავია რუსთაველის წარმომშობი ერი, უტკბობია რუსთაველის იდეები, ისინი მუდამ გაგვინათებენ გზას და დარჩებიან სიმბოლოდ ჩვენი ერთობის, სიმტკიცის, მარადიულობისა.

ვუძღვნი აგრეთვე ჩემ კეთილ სურვილებს საზღვარგარეთ გაფანტულ ქართველებს, ვუსურვებ მათ თავიანთი მიზნების მიღწევას და ძვირფას სამშობლოსთან კვლავ შეერთებას.

დიდ მადლობას ვუძღვნი რედაქციას და საზოგადოებას, რომ გაზეთს მიგზავნის. მასალები ზედმიწევნით კარგად არიან შერჩეულნი და სრულად აკმაყოფილებენ ჩვენს პატრიოტულ ზრახვებს.

გთხოვთ დახმარება აღმოუჩინოთ ჩემი ძმის ქალიშვილს (ნადია ახვლედიანს), ზოგიერთი წიგნების შოვნაში, თუ მან მოგმართოთ.

თუ საჭიროდ დაინახავთ, ეს ჩემი პატარა წერილი შეგიძლიათ მოათავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში.

მიიღეთ ჩემი საუკეთესო სურვილები თქვენი წარმატებით მუშაობისა.

გისურვებთ მხნეობას, ენერგიას, კარგად ყოფნას, რაც საწინდარი იქნება თქვენი მომავალი ფრიად სასარგებლო მუშაობისა.

თქვენი მარად კეთილის მოსურნე

ემსეემი ახვლედიანი.

ავსტრალია.

იუბილეს დღეებში დიდუბეში გახსნილი იყო დიდი მრავალფეროვანი გამოფენა „ქართული კულტურა“. ამ სურათებზე აღბეჭდილია გამოფენის ზოგიერთი ექსპონატი — მხატვარ რ. სტურუას პანო „შოთა რუსთაველი“, ს. ქოიავას ჭედურობა „თამარ მეფე“ და ოქრის ტაძრის მაკეტი დამზადებული კორპის ხისაგან.

სახალხო სიყვარული

30 სექტემბერს დილიდანვე ყვავილებით იყო შემკული შოთა რუსთაველის ძეგლი თბილისში. აქ შეიკრიბნენ მშრომელთა, ინტელიგენციის წარმომადგენლები, მოსწავლეები, სტუდენტები.

დიდი პოეტის ხსოვნის პატივსაცემად მოვიდნენ ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, პ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, რ. ი. ფრუიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჰანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ვ. ფ. შაურო, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ე. ა. ფურცევა, თვალსაჩინო საბჭოთა პოეტები და მწერლები, საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკების დელეგაციათა წევრები, საზღვარგარეთელი სტუმრები.

ძეგლის კვარცხლბეკი გვირგვინებით შეამკეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის, ქართველი მწერლების, მოსკოვისა და ლენინგრადის მშრომელების, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, მოკავშირე რესპუბლიკების დელეგაციათა სახელით.

სურათზე: სტუმრები რუსთაველის ძეგლთან.



ბ აქს მოუვარე მოუვრისათვის
თავი ჭირად არ დაჰრიდად.

◆

ფ დეს კაცსა დაეჭიროს
მაშინ უნდა ძმა და თვისი.

◆

ნ ოროტსა სძლია კეთილმან,
არსება მისი გრძელია!

◆

ჯ ობს სიცოცხლესა ნაზრახსა
სიკვდილი სახელოვანი.

თ უ თავი შენი შენ გახლავს,
ღარიბად არ იხსენები.

◆

ქ ქვი ლომისა სწორია,
ძუ იოს თუნდა ხვადია.

◆

ღ ალაა ივი სინათლე,
რასაცა ახლავს ბნელია?!

◆

ყ მნა მართლისა სამართლისა
ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად.

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

მოუსმინეთ საქართველოს

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართია:

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.